საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 8 იანვარი, 1952 წ. № 6 (9166). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის — „პრავდის" 6-I მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის დამზადებათა მინისტრის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

კომუნიზმის დიადი მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

დიდმნიშვნელოვანი ისტორიული თარიღის აღსანიშნავად (მე-2 გვერდი).

პარტორგანიზაცია უყურადღებოდ ტოვებს, საკოლმეურნეო სახსრები და დოვლათი ნიავდება (მე-2 გვერდი).

ახალგაზრდა მეშახტეები (მე-3 გვერდი).

მ. მითაიშვილი — მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებული ხელშეკრულებანი ზუსტად უნდა სრულდებოდეს (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — სერგეი მესხის წერილები (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ გამოაქვეყნა კომუნიკე ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების თაობაზე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების შესახებ. 1952 წლის პირველი იანვრისათვის სამოც ქვეყანაში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე შეგროვებულია 596.302.298 ხელმოწერა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს ცნობა მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობის ძლიერი, უძლეველი ძალის ახალი დადასტურებაა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ასეულ მილიონობით ხელმოწერით გამოხატულია ყველა ქვეყნის ხალხთა უფართოესი მასების ურყევი გადაწყვეტილება—არ დაუშვან ახალ მსოფლიო ომს მოწყურებული ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების კაცთმოძულე ზრახვების განხორციელება.

სულ რამდენიმე წელმა განვლო მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად წარმოიშვა მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ორგანიზებული ფრონტი. მოკლე ხანში მშვიდობის დაცვის მოძრაობაში ჩაება ყველა ქვეყანა და კონტინენტი, ამ მოძრაობამ თავისი დროშის გარშემო გააერთიანა კაცობრიობის საუკეთესო ძალები. ისტორიაში ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასეთი ძლიერი, ყოვლისმომცველი მოძრაობა. ჯერ არასოდეს არ გაერთიანებულან ბრძოლის ერთიანი მისწრაფებითა და ნებისყოფით ადამიანთა ასეთი უდიდესი მასები, როგორც ამჟამად გაერთიანდნენ მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ფრონტის რიგებში.

რა არის ამ მოძრაობის ძალა და სიცოცხლისუნარიანობა? ის, რომ იგი გამოხატავს ყველა რასისა და ეროვნების, ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხთა უფართოესი მასების, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიური რწმენის ადამიანების ყველაზე საარსებო, სასიცოცხლო ინტერესებს. მილიონობით და მილიონობით ადამიანი რწმუნდება, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური აგრესიული ძალები მიზნად ისახავენ ძალით დაიმორჩილონ და დაიმონონ მსოფლიოს ყველა ხალხი. ისინი ოცნებობენ იმაზე, რომ მონებად გადააქციონ ჩვენი პლანეტის მთელი მოსახლეობა, მოსპონ დემოკრატიისა და პროგრესის ძალები, დაამყარონ ყველაზე მძვინვარე იმპერიალისტური რეაქციის ბატონობა. ამიტომ მშვიდობისმოყვარე ხალხების მთელი ძალღონე მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ჩაფუშონ ომის გამჩაღებელთა ზრახვები, დაიცვან მშვიდობის დიადი საქმე.

ახალი ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები ცდილობენ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხთა მასები, თავს მოახვიონ თავიანთი აგრესიული გეგმები და ამრიგად ახალ ომში ჩაითრიონ ისინი. მშვიდობის მტრების ასეთ ტაქტიკას თვალნათლივ ადასტურებს ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენელთა ცდები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე—თავიანთი პოლიტიკა, რომლის მიზანია ახალი ომის მომზადება და გაჩაღება, წარმოადგინონ ისე, თითქოს იგი მშვიდობის პოლიტიკაა.

ამ პირობებში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრესორთა ხრიკების განუწყვეტელ მხილებას, ომის საფრთხის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში ასეულ მილიონობით ადამიანის, ყველა იმათ ჩაბმას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე.

„მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი,—თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას. ომი შეიძლება გარდუვალი გახდეს, თუ ომის გამჩაღებლები მოახერხებენ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხის მასები, მოატყუონ ისინი და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ.

ამიტომ ფართო კამპანიას მშვიდობის შენარჩუნებისათვის, როგორც ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მაქინაციების გამოაშკარავების საშუალებას, ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს".

სტალინის ბრძნული სიტყვები აღაფრთოვანებენ ყველა პატიოსან ადამიანს ომის საფრთხის წინააღმდეგ გაბედული, მამაცური ბრძოლისათვის. მშვიდობისათვის ბრძოლა ასეულ მილიონობით მამაკაცისა და ქალის ჭეშმარიტად ღვიძლი საქმე, საარსებო საჭიროება გახდა. სწორედ ამას მოწმობს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების საერთაშორისო კამპანიის წარმატება.

ამ კამპანიის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ ამჟამად მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობა უფრო ძლიერი და ორგანიზებული ძალაა, ვიდრე ერთი-ორი წლის წინათ იყო. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე უკვე შეგროვებულია მეტი ხელმოწერა, ვიდრე შეგროვებული იყო ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ სტოკჰოლმის მოწოდებაზე. მნიშვნელოვნად ამაღლდა მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობის ორგანიზებულობა. მშვიდობის აქტიურ დამცველთა რიგებს შეემატა ახალი მილიონობით ადამიანი, რომლებიც წინათ განზე იდგნენ ამ მოძრაობას. სულ უფრო გაფართოვდა ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიასა და იაპონიაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის აქტიური ბრძოლის შემდგომი გაჩაღების ფაქტს. დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის ხალხთა მასებს, რომლებიც უცხოელთა ოკუპაციის უღელქვეშ გმინავენ, არა სურთ ამერიკელი იმპერიალისტების საზარბაზნე ხორცი იყვნენ. გერმანელი და იაპონელი ხალხების დემოკრატიული ძალები ესწრაფვიან მშვიდობას, ეროვნულ დამოუკიდებლობას, იმას, რომ თავიანთი ქვეყნები მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გარდაქმნან. გერმანიისა და იაპონიის მოსახლეობის ფართო ფენების მტკიცე მისწრაფებას ამ ამოცანების განხორციელებისადმი დამაჯერებლად მოწმობს თექვსმეტ მილიონ შვიდასი ათასი ხელმოწერა, რაც შეგროვებულ იქნა გერმანიაში რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხალხის გამოკითხვის დროს, და იაპონელ მოქალაქეთა ექვსი მილიონი ხელმოწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე.

იაპონიასა და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უაღრესად ფართო გამოხმაურება ჰპოვა ამხანაგ ი. ბ. სტალინის საახალწლო წერილმა იაპონელი ხალხისადმი. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს ეს ისტორიული წერილი საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გამოხატულებად, სხვა ხალხების უფლებებისა და ინტერესებისადმი მისი დიდი პატივისცემის გამოხატულებად მიაჩნია.

გამოხატავს რა იაპონიის მილიონობით მამაკაცისა და ქალის გრძნობებს, იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტი ი. ბ. სტალინისადმი მიმართულ წერილში წერს:

„თქვენი წერილი, რომელიც 1952 წლის წინადღეს გამოუგზავნეთ იაპონელ ხალხს კიოდოს სააგენტოს საშუალებით, მოწმობს საბჭოთა კავშირის დიდი თანაგრძნობისა და მეგობრობის პოზიციას ჩვენი ხალხის მიმართ და წარმოადგენს წერილს, რომელიც იაპონელ ხალხს ეხმარება უფრო ღრმად ჩასწვდეს საბჭოთა კავშირის ტრადიციულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება, ხალხთა მეგობრობა და ერთა სუვერენიტეტის პატივისცემა, წარმოადგენს წერილს, რომელიც აღაფრთოვანებს ყველა პატიოსან იაპონელ ადამიანს, რომლებიც მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ჩვენ გვწამს, რომ თქვენი წერილი უდიდეს როლს შეასრულებს იაპონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცების საქმეში. გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისათვის და გისურვებთ ჯანმრთელობას ახალ წელს".

დღითიდღე ფართოვდება მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობის რიგები, მშვიდობის სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში მტკიცდება მშვიდობისმოყვარე ხალხთა მეგობრობა. მტკიცდება ინტერნაციონალური კავშირი საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა ხალხებს შორის, სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს შორის. საბჭოთა კავშირი, რომელიც მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის ავანგარდშია, მთელი დედამიწის ხალხთა მასებს მშვიდობის ურყევ ბურჯად მიაჩნიათ.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში მიღწეულია ბევრი წარმატება. მაგრამ ეს წარმატებანი თვითდამშვიდებას როდი იწვევენ მშვიდობის დამცველთა რიგებში. ომის გამჩაღებლები განაგრძობენ დანაშაულებრივ ხრიკებს მშვიდობის საქმის წინააღმდეგ. გააძლიერონ სიფხიზლე, ამხილონ და ჩაშალონ იმპერიალისტების ხრიკები, გააფართოონ და განამტკიცონ ხალხთა ძლიერი მოძრაობა მშვიდობის პაქტის დადებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის, კორეაში იმპერიალისტური ინტერვენციის შეწყვეტისათვის—ეს არის მშვიდობისათვის მებრძოლთა საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა.

მშვიდობისმოყვარე ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლომდე დაიცვან მშვიდობის შენარჩუნების საქმე. მშვიდობის შენარჩუნებისათვის ფართო კამპანიის გაჩაღებით, თავიანთი რიგების ერთიანობისა და ორგანიზებულობის განმტკიცებით მშვიდობის მომხრენი ჩაშლიან ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა დანაშაულებრივ გეგმებს, კვლავაც ფხიზლად და ერთგულად იდგებიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე.

„პრავდის" 6/I მოწინავე

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1951 წელს, აიღეს რა პურის მოსავალი უკეთ და უფრო მოკლე ვადებში, ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმები. 25 დეკემბრისათვის პურის დამზადების გეგმა კოლმეურნეობებმა 100 პროცენტით შეასრულეს, საბჭოთა მეურნეობებმა — 106,9 პროცენტით. კოლმეურნეობებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის ნატურანაზღაურების სახელმწიფო გეგმა აგრეთვე შესრულებულია 100 პროცენტით.

სასურსათო კულტურების 1951 წლის მოსავლიდან ხორბალი და ჭვავი დამზადებულია 159 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

ეს მიღწევები კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წარმატებითი შრომის შედეგია, იმ უდიდესი დახმარების შედეგია, რომელიც გაუწიეთ მთავრობამ, პარტიამ და პირადად თქვენ, ამხანაგო სტალინ, სოციალისტურ სოფლის მეურნეობას ტრაქტორებით, კომბაინებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი აღჭურვის საქმეში, შედეგია დახმარებისა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

სსრ კავშირის დამზადებათა მინისტრი
პ. პონომარენკო

## მ. ი. კალინინის მუზეუმში გაიხსნა ახალი დარბაზები

4 იანვარს მ. ი. კალინინის მუზეუმში გაიხსნა ახალი დარბაზები. ამ დარბაზებში შეგროვებულია მასალები, რომლებიც შეეხება ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მ. ი. კალინინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მუშაობას 1875 წლიდან 1917 წლამდე.

მუზეუმის დოკუმენტები, ნახატები, ფოტოსურათები, მაკეტები და სხვა მასალები გვაცნობენ მ. ი. კალინინის ბავშვობას, მისი მოწაფეობის წლებს პეტერბურგის სავაზნე ქარხანა „ძველ არსენალში", რევოლუციურ მოღვაწეობას პუტილოვის ქარხანაში, სადაც მან მუშაობა დაიწყო 1896 წელს.

მუზეუმის ახალი დარბაზების ექსპონატები ასახავენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მ. ი. კალინინის აქტიურ მონაწილეობას ბოლშევიკური პარტიის მშენებლობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში.

ახალი დარბაზების გახსნით დამთავრდა დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილის, ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, კომუნიზმისათვის მტკიცე მებრძოლის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ერთგული თანამებრძოლის მ. ი. კალინინის მუზეუმ-ძეგლის შექმნა. (საკდესი).

## ივანოვოს მელანჟის კომბინატის ფეიქართა თაოსნობა

5 იანვარს საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა ივანოვოს მელანჟის კომბინატის ოსტატის თანაშემწის ა. ვ. კუჩეროვასა და იმავე საწარმოს მერემონტეთა ბრიგადირის მ. ა. ალექსანდროვის ძვირფასი თაოსნობა. მათი ინიციატივით კომბინატში დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება მაღალნაყოფიერი შრომისა და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად.

ნოვატორთა წინადადების არსი ის არის, რომ გაერთიანდეს ოსტატთა თანაშემწეების, მერემონტეებისა და ტექნოლოგების ღონისძიებანი მოწყობილობის ნაყოფიერების გადიდებისათვის საბრძოლველად. კუჩეროვამ და ალექსანდროვმა შრომითი თანამეგობრობის ხელშეკრულება დადეს და ერთობლივად ადევნებენ თვალყურს სართავი მოწყობილობის ტექნიკურ მდგომარეობას, უზრუნველყოფენ მის შეუფერხებელ ექსპლოატაციას მთელი სარემონტთაშორისო პერიოდის განმავლობაში. ალექსანდროვმა ვალდებულება იკისრა შეაკეთოს მანქანები მხოლოდ „ფრიადი" შეფასებით, კუჩეროვამ კი—გააუმჯობესოს მოწყობილობის გამართვა.

ასეთმა თანამეგობრობამ შესაძლებლობა შექმნა გადიდდეს მანქანების სიჩქარე, უკეთ იქნას გამოყენებული ისინი, 20 პროცენტით შემცირდეს მოცდენა. ნოვატორთა მაგალითს მიბაძა კომბინატის მრთველთა, მქსოველთა და მერემონტეთა ბევრმა ბრიგადამ. შეჯიბრებაში ჩაებნენ მანქანების მწმენდავი, მპოხავი და სხვა მუშები. ეს თაოსნობა ამჟამად უკვე ვრცელდება ივანოვოს ოლქის მთელ რიგ საფეიქრო საწარმოებში.

ა. კუჩეროვამ და მ. ალექსანდროვმა სხდომას გააცნეს თავიანთი მუშაობის მეთოდები და ის ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს სართავი მანქანების წარმადობის შემდგომი გადიდების დარგში.

პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა მერემონტეთა და ექსპლოატაციის მუშაკთა მჭიდრო თანამეგობრობის დიდი მნიშვნელობა, მოიწონა ა. კუჩეროვას და მ. ალექსანდროვის თაოსნობა და საჭიროდ ცნო მისი ფართოდ გავრცელება საფეიქრო საწარმოებში. (საკდესი).

# კომუნიზმის დიადი მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

★

## მძლავრი მოწყობილობა დიად მშენებლობებს

მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა დაიწყეს კომუნიზმის დიად მშენებლობათა ახალი დაკვეთის შესრულება.

კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებელთათვის კეთდება ექსკავატორების პარტია, მძლავრი საამწეო-სატრანსპორტო მანქანები, პორტალური ამწეები, საბურღავი ჩარხები.

ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში მზადდება ახალი გიგანტური მიწისმთხრელი მანქანები. 14 კუბური მეტრი მოცულობის ციცხვიანი ორი ასეთი მანქანა უკვე გაეგზავნა სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლებს. ურალის მანქანათმშენებელი ქარხანა ვოლგის ჰიდროელექტროსადგურებისათვის, რომლებიც ახლა შენდება, გამოუშვებს სამკუბიანი ექსკავატორების პარტიას და სხვა მოწყობილობას. კუიბიშევის ჰესის მშენებლობის სახელზე ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაკები გაგზავნიან ორ დიდ სამსხვრევ მანქანას. თვითეულ ასეთ აგრეგატს შეუძლია ყოველ საათში გადაამუშაოს 350 ტონა მასალა.

სამინისტროს საწარმოები განაგრძობენ ვოლგა-დონის არხისათვის მოწყობილობის მიწოდებას. წელს აქ გაიგზავნება სხვადასხვა ტვირთმზიდაობის ამწეები და სხვა მანქანები.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მოედანზე იგზავნება სპეციალური საბურღავი ჩარხები და საქვაბე მოწყობილობა. (საკდესი).



სვერდლოვსკი. ქარხანა „ურალელექტროაპარატი" ამთავრებს ვერტიკალური ძრავის მონტაჟს ვოლგა-დონის არხის სატუმბავი სადგურისათვის. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): დიდი მანქანების საამქროს უფროსი ლ. ა. პეშკოვი და უფროსი ოსტატი ა. ა. მოსკოვსკი მართავენ ძრავის როტორს ვოლგა-დონის არხის სატუმბავი სადგურისათვის.

ფოტო ი. სიმინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## სპეციალისტები კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის

**ლენინგრადი,** 5 იანვარი. (საკდესი). დაახლოებით ოთხმოცმა ინჟინერმა და ტექნიკოსმა გაიარა ხელახალი მომზადება მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებულ კომუნიზმის დიად მშენებლობათა მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელ მუდმივ კურსებზე.

ახლა სწავლას შეუდგა „ვოლგადონმშენისა" და კუიბიშევის ჰესის მშენებლობის ინჟინერთა ახალი ჯგუფი. მსმენელები სწავლობენ საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა ორგანიზაციისა და წარმოების, წყლის ენერგიის გამოყენების, საფუძვლებისა და საძირკვლების ამოყვანისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დარგში.

## ქალაქების რეკონსტრუქცია დიადი მშენებლობის ზონაში

**ტახია-ტაში.** (საკდესი). თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობასთან დაკავშირებით სახეს იცვლის ყარა-კალფაკეთის და ჩრდილოეთ თურქმენეთის ბევრი ქალაქი.

სწრაფად იზრდება ყარა-კალფაკეთის დედაქალაქი ნუკუსი. ამ უკანასკნელ ხანს აქ აშენდა ათობით საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობა. დიდი სამუშაოები შესრულდა ქალაქის კეთილმოსაწყობად. დაიწყო თურქმენეთის ძველისძველი ქალაქის ტაშაუზის რეკონსტრუქცია. ეს ქალაქი ახლა ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია, საიდანაც წარმოებს შეტევა უდაბნოზე. აქ საექსპლოატაციოდ გადაცემულია „თურქმენწყალმშენის" პირველი ათი სახლი. განზრახულია აშენდეს ბევრი სამრეწველო საწარმოს, სასწავლებლისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების შენობა. ქალაქში ძლიერდება ავტობუსების მიმოსვლა.

## რაიონების დაგეგმვა ჩრდილოეთ ყირიმის არხის ზონაში

**სიმფეროპოლი.** (საკდესი). უკრაინის ქალაქების დაპროექტების ინსტიტუტმა — „გიპროგრადმა" — დაამთავრა ჩრდილოეთ ყირიმის არხის ზონაში რაიონული დაგეგმვის შემუშავება. გათვალისწინებულია ჯანკოის რეკონსტრუქცია. დიდად განვითარდება რაიონული ცენტრები რაზდოლნოე, კრასნოპერეკოპსკი, აზოვსკოე და სხვები.

სივაშისა და კარკინიტის ყურის ნაპირებზე გაშენდება ახალი კურორტები.

დაგეგმვა ითვალისწინებს სივაშის წყალმცირე ყურეების ნაწილის ამოშრობას და ძვირფასი მიწის გამოყენებას სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ძირითადი და წყალსაგდები არხების ტრასის გაყოლებით, ხევებსა და დაბლობებში შეიქმნება მრავალი წყალსატევი.

## იზრდება თურქმენეთის მთავარი არხის მშენებელთა ქალაქი

**ტახია-ტაში,** 2 იანვარი. (საკდესი). 1952 წლის დასაწყისი ტახია-ტაშის მშენებლებმა ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნეს. საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა წყალსადენის მესამე რიგი. დამთავრდა რამდენიმე ახალი საცხოვრებელი სახლისა და ახალგაზრდა მუშების სამი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა; მუშაობა დაიწყო ახალმა სასტუმრომ.

ახალწლის დღეებში თურქმენეთის მთავარი არხის მშენებელთა ახალგაზრდა ქალაქში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი საწარმოები—აბანო, საპარიკმახერო.

## ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეხუთე ტომი აზერბაიჯანულ ენაზე

**ბაქო,** 4 იანვარი. (საკდესი). აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ აზერბაიჯანულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეხუთე ტომი.

რუსული გამოცემიდან თარგმანი განახორციელა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალმა.

## ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომი თურქმენულ ენაზე

**აშხაბადი.** (საკდესი). თურქმენეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ თურქმენულ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომი.

რუსული გამოცემიდან თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თურქმენეთის ფილიალმა.

# სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

★

## პოლონელ მშრომელთა წარმატებანი 1951 წელს

**ვარშავა.** (საკდესი). პოლონელმა ხალხმა წარმატებით შეასრულა 1951 წლის—ექვსწლიანი გეგმის მეორე წლის ამოცანები.

1951 წელს პოლონეთში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 1.500 სამრეწველო შენობა, 30-ზე მეტი საწარმო, აგებულია ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო კუბატურა 7 მილიონზე მეტ კუბმეტრს შეადგენს.

ქვანახშირის, საფეიქრო და მრეწველობის მთელი რიგი სხვა წამყვანი დარგების მუშებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის ღირებულების წლიური გეგმა.

წლიურ დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას, შრომის უფრო სრულყოფილი მეთოდების დანერგვას, რაციონალიზატორთა და ნოვატორთა მოძრაობის განვითარებას, აგრეთვე დიდი საბჭოთა კავშირის ძმურ დახმარებას.

ამუშავდა დიდი საწარმოები, რომლებზე ომამდელ პოლონეთს ოცნებაც კი არ შეეძლო. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აღსანიშნავად ლიუბლინის ავტოქარხანამ გამოუშვა სატვირთო ავტომანქანების პირველი პარტია, ამავე დროს ვარშავის ავტოქარხნის დიდი კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი მსუბუქი ავტომანქანები, ამუშავდა ახალი მარტენის ღუმელები ჩენსტოხოვის მეტალურგიულ ქარხანაში, დამთავრდა მშენებლობა პოლონეთში უდიდესი ჰიდროსადგურისა როჟნოვში, ახალი საფეიქრო ფაბრიკისა პიოტრკოვში, ქიმიური ქარხნისა ვიზუვში, ხელოვნური ბოჭკოს ფაბრიკისა ხოჟუვში, ახალი რკინიგზის მაგისტრალისა სილეზიის ქვანახშირის აუზში და სხვ.

მეტალურგიული გიგანტის „ნოვაია გუტას" მშენებლობაზე დეკემბერში ამუშავდა ფოლადის კონსტრუქციების პირველი საწარმოო საამქრო.

სამრეწველო საწარმოთა მშენებლობასთან ერთად პოლონეთში სწრაფად იზრდება ახალი ქალაქები და ხდება ძველი ქალაქების რეკონსტრუქცია. მეტალურგიულ კომბინატ „ნოვაია გუტას" მახლობლად უკვე აშენდა ახალი ქალაქის საცხოვრებელი უბნები. კატოვიცის მახლობლად თვალწარმტაც ადგილას შენდება მაღაროელთა ქალაქი ტიხი. პოლონეთის სამრეწველო ცენტრებში გაშენებულია 60-ზე მეტი დიდი მუშათა დაბა.

დღითიდღე იცვლის სახეს პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა. ხელახლა შენდება ქუჩები, ქალაქს ამშვენებენ ახალი მოედნები, წარმოებს დიდი მუშაობა მეტროს ასაგებად.

—o—

## „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ახალი გამოცემა ბულგარეთში

**სოფია,** 3 იანვარი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ ბულგარულ ენაზე 20 ათას ცალად გამოუშვა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ახალი მეშვიდე გამოცემა.

—o—

## ჩინელ მუშათა საწარმოო წარმატებანი

**პეკინი,** 6 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „გუნჟენჟიბაო" იუწყება, რომ იუნანის ბამბეულის ფაბრიკის მრთველმა ჯაო სიუე-ჩენმა გამოიყენა ახალი მეთოდი, რომლითაც მცირდება გაწყვეტილი ძაფის შეერთებისას ნართის დანაკარგი.

ამ მეთოდის შემოღების შემდეგ წარმოების ნარჩენები საამქროში, სადაც იგი მუშაობს, 1951 წლის აგვისტოში 420-დან 300 გირვანქამდე შემცირდა.

ჯაო სიუე-ჩენმა ახალი მეთოდი შეასწავლა თავისი ბრიგადის ყველა წევრს. ამ ბრიგადამ გამოიყენა ძაფის შეერთების ეს მეთოდი და ნართის დანაკარგები შეამცირა ცვლაში 5 ციანამდე (ციანი უდრის 3,73 გრამს). ამჟამად ჯაო სიუე-ჩენის მეთოდი მთელ ფაბრიკაში ინერგება. ბევრმა ბრიგადამ, რომელმაც ჯაო სიუე-ჩენის მაგალითს მიბაძა, მიაღწია ნართის დანაკარგის შემცირებას 3 ან 4 ციანამდე.

—o—

## შრომის ფრონტზე უნგრეთში

**ბუდაპეშტი,** 6 იანვარი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოწინავე კოლექტივები და ცალკეული სტახანოველები კვლავ ადიდებენ ხუთწლედის მეორე წლის წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში მიღწეულ ტემპს. 1952 წელს უნგრეთის ქვანახშირის მრეწველობამ უნდა მოგვცეს 20 პროცენტით მეტი ქვანახშირი, ვიდრე გასულ წელს. ტატაბანის მატიას რაკოშის სახელობის შახტის კოლექტივის ინიციატივით მეშახტეთა შორის საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების დღის — 4 აპრილის აღსანიშნავად ჩაღდება შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე მოწინავე მეშახტეები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ დღიურ დავალებებს.

4 აპრილის აღსანიშნავად შეჯიბრება ჩაღდება უნგრეთის სხვა საწარმოებშიც. ოზდის მეტალურგიული კომბინატის მარტენის საამქროს კოლექტივმა 1 და 2 იანვარს გეგმა შეასრულა 102 პროცენტით, ხოლო 3 იანვარს—103,6 პროცენტით. მეფოლადეთა ბრიგადა, რომელსაც მ. მიკოვეცი მეთაურობს, ერთნახევარჯერ გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდმნიშვნელოვანი ისტორიული თარიღის აღსანიშნავად

## (ბათუმის ისტორიულ ადგილებში)

ახლოვდება დიდმნიშვნელოვანი ისტორიული თარიღი — დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის 50 წლისთავი.

ქალაქ ბათუმის მშრომელები კანონიერი სიამაყისა და სიხარულის გრძნობით ემზადებიან ამ თარიღის აღსანიშნავად.

50 წლის წინათ, 1901 წლის 31 დეკემბერს, მუშა სილიბისტრო ლომჯარიას ბინაზე, სადაც ამჟამად აღმართულია ახალი ობელისკი, საახალწლო შეხვედრის საბაბით მოწვეული იყო ბათუმის მთავარ საწარმოთა წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზეც გაფორმდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და გამოყოფილ იქნა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

მდიდარი რევოლუციური წარსულის მქონე ქალაქმა ძირფესვიანად შეიცვალა სახე საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ადგილები, რომლებიც 50 წლის წინათ დაჭაობებული და გაუვალი იყო, ამჟამად კეთილმოწყობილ სამრეწველო უბნადაა გადაქცეული.

ბათუმის ერთ-ერთი შესანიშნავი ისტორიული ადგილია სახლი პუშკინის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ამხანაგი სტალინი 1901 წლის ნოემბრიდან 1902 წლის იანვრის ბოლომდე. დიდი სტალინი აქ გაეცნო ბათუმის მაშინდელ საწარმოთა მოწინავე მუშებს და მხურვალე რევოლუციური მუშაობა გააჩაღა, შექმნა სოციალ-დემოკრატიული წრეები, რომლებშიც მომზადდა მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის ბათუმის პროლეტარიატის მოწინავე რაზმი.

რას წარმოადგენდა ეს უბანი მაშინ? ჭაობს! ასე იწოდებოდა ეს უბანი ძველ ბათუმში. და ეს სახელი მას მართლაც შეეფერებოდა. ეს იყო გაუვალი, დაჭაობებული და წყლის გუბეებიანი გარეუბანი, სადაც აქა-იქ მოჩანდა ბათუმის მუშათა საცხოვრებელი ქოხმახები. ეს ადგილი მალარიის ბუდედ ითვლებოდა. თვით პუშკინის ქუჩაც, სადაც ეს ისტორიული სახლი მდებარეობს, მაშინ დაჭაობებული იყო. იმ უბანში, სადაც ამხანაგმა სტალინმა 1901 წლის 31 დეკემბერს საახალწლო შეხვედრა მოაწყო, ულრანი ტყე და გაუვალი ტალახი იყო.

ახალი, სოციალისტური ბათუმის ეს უბანი დღეს სრულიად გამოცვლილია. პუშკინის ქუჩა ამჟამად ქალაქის მთავარი მაგისტრალია. მის ორივე მხარეზე მწყობრად აღმართავთ ახალი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საშუალო სკოლის, ბავშვთა პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს, საბავშვო ბაღის, ტუბდისპანსერის და სხვა საწარმო-დაწესებულებათა ლამაზი შენობები. ქუჩა მოასფალტებულია და დეკორაციული მცენარეებით ლამაზად შემკობილია. ამ უბანში არის ბათუმის რამდენიმე მოწინავე საწარმო: ციტრუს-კომბინატი, მთავარნავთგასაღების ბათუმის სამმართველო, ლიმანტრესტის ახალშენის საბჭოთა მეურნეობა და სხვა საწარმო-დაწესებულება.

აქ ყველაფერმა სახე იცვალა, გაკეთდა და გამშვენიერდა. მხოლოდ უცვლელადაა შენახული და მოვლილი ისტორიული სახლი პუშკინის ქუჩაზე, რომელშიც მოწყობილია დიდი სტალინის სახლ-მუზეუმი.

ასევე დიდი სიყვარულით მოუვლიათ და კეთილმოუწყვიათ ბათუმელებს სილიბისტრო ლომჯარიას სახლის მიდამო, სადაც წელს ახალი ობელისკი აღმართეს და ლამაზი სკვერი გააშენეს. ქუჩა, რომელზეც ეს ისტორიული სახლი იდგა, 31 დეკემბრის ქუჩადაა წოდებული. იგი თავიდან ბოლომდე მოკირწყლულია და გამწვანებულია. ლამაზი სახლების ცენტრში აღმართული ობელისკით უკვდავყოფენ ბათუმელები ყოფილ მანთაშევის ქარხანაში 1902 წლის იანვარში სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილი მუშათა პირველი დიდი გაფიცვის ადგილს.

მზრუნველი ხელი არ მოუკლიათ ბათუმელებს იმ ადგილის კეთილმოწყობისათვის, სადაც 1902 წლის თებერვალში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მოეწყო როტშილდის ყოფილი ქარხნის მუშათა ორი გაფიცვა. ამ ისტორიულ ადგილს ამშვენებს გრანიტის ქვის კედელი მემორიალური დაფითა და ლამაზი ლამპიონებით. დაფაზე ოქროს ასოებით წარწერილია: „1902 წლის თებერვალში როტშილდის ყოფილ ქარხანაში დიდმა სტალინმა მოაწყო და ხელმძღვანელობა გაუწია ორ დიდ გაფიცვას, რომელნიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა“.

უდიდესი ინტერესით ათვალიერებენ ბათუმის ისტორიულ ადგილებს არა მარტო აჭარის და მთელი საქართველოს მშრომელები, მათ სანახავად აქ მოდიან ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხიდან. 1949 წელს ეს ისტორიული ადგილები დაათვალიერა 70 ათასზე მეტმა კაცმა, 1950 წელს — 80 ათასმა, ხოლო შარშან 107 ათასზე მეტმა. დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით არის აღსავსე მათი ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნში. მალე განხორციელდება ბათუმელ მშრომელთა სანუკვარი სურვილი. მათ ექნებათ სტალინის მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილი იქნება დიდი სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის ამსახველი მდიდარი მასალები.

როტშილდის ყოფილი ქარხნის ადგილას ამჟამად ბათუმის მოწინავე საწარმო — ფანერის ქარხანა მუშაობს. მას შემდეგ აქ რამდენიმე ახალი კორპუსი აუგიათ, ეზო მარადმწვანე დეკორაციული მცენარეებით შეუმკიათ. ქარხანაში ახალი, სოციალისტური ყაიდის თავისუფალი შრომის ადამიანები მუშაობენ, რომლებიც ენერგიას არ იშურებენ, რათა სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ფანერი, მაცივრები, ავეჯი და სხვა პროდუქცია.

ისტორიული თარიღის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივი დეკემბერში სტახანოვურ ვახტზე იდგა და ვადაზე ადრე გაანაღდა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება.

ასევე წარმატებით დაამთავრა სამეურნეო წელი „გლავნეფტესბიტის“ ბათუმის სამმართველომ. ვალდებულებით ნაკისრი 21 დეკემბრის ნაცვლად სახელოვანმა მენავთეებმა ჯერ კიდევ 1 დეკემბრისათვის შეასრულეს ნავთობპროდუქტების გაგზავნის წლიური დავალება. მათ შარშან რამდენჯერმე გაგზავნეს სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მაღალხარისხოვანი პროდუქცია ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძზე.

სასახელო მაჩვენებლებით ხვდება ამ ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს ბათუმის ციტრუსკომბინატის კოლექტივი. კომბინატმა სამი დეკემბრისათვის გაანაღდა პროდუქციის გამოშვების 1951 წლის გეგმა და 25 დეკემბრისათვის სოციალისტურ სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 850 ათასი ქილა მაღალხარისხოვანი კონსერვი.

აყვავდა და გაიფურჩქნა ახალი სოციალისტური ბათუმი. ქალაქი, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ — 1901 წლის 31 დეკემბერს, ახალგაზრდა სტალინმა მოწინავე მუშის ლომჯარიას ბინაზე საახალწლო შეხვედრის საბაბით დიდი რევოლუციონერის ოსტატობით მოაწყო ბათუმის მუშათა რევოლუციური წრეების წარმომადგენელთა ისტორიული კონფერენცია, რომელზეც ფაქტიურად ჩამოყალიბდა რსდმპ ბათუმის ორგანიზაცია.

— „აი, უკვე თენდება. მალე მზე ამოვა. დადგება დრო, და ეს მზე ჩვენთვის იკაშკაშებს. გწამდეთ ამხანაგებო!“. — განუცხადა მაშინ მუშებს ამხანაგმა სტალინმა.

ეს მზე უკვე დიდიხანია კაშკაშებს ახალ, სოციალისტურ ბათუმში, მთელ ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოში. მას ეწოდება სტალინური მზე. მისი ცხოველმყოფელი სხივებით მილიონობით სხვა ადამიანთან ერთად გამთბარია და ხარობენ ბათუმის მშრომელებიც, რომლებიც ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**დ. პაიჭაძე**

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალი

10-დან 16 იანვრამდე სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტრო მოსკოვში, ლენინგრადში, სტალინგრადსა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში აწყობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალს.

ყველა აღნიშნულ ქალაქში ფესტივალი დაიწყება ახალი გერმანული მხატვრული ფილმით „მატარებლები არარეგულარულად დადიან“, რომელიც 1951 წელს შეიქმნა „დეფას“ კინოსტუდიაში ერიხ ფრეინდის რეჟისორობით, პ. ბეიახს და გ. ტუროვსკის სცენარის მიხედვით.

ფილმი „მატარებლები არარეგულარულად დადიან“ მოგვითხრობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რკინიგზელებისა და სახალხო პოლიციის სიფხიზლეზე, მათს ბრძოლაზე დივერსანტებთან და ჯაშუშებთან, რომლებსაც ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ბერლინის აღმოსავლეთ სექტორში გზავნიან.

სურათში მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები: კ. ჰოლმი, ი. კელერი, ბ. კრაზე, გ. გროტი, პ. ლემბროკი, ე. ბატი და ხ. დრინდა.

ამავე დროს კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება საბჭოთა მაყურებლისათვის უკვე ცნობილი კინოფილმები: „სახიფათო რეისი“, „ერთი ოჯახის ისტორია“, „ღმერთების თათბირი“, „პური ჩვენი არსობისა“, „მიხაელსფერი ქსელი“, „ჭრელკუბოკრულნი“, „ისინი ვერ დაიმალებიან“ და „მუდამ მზადავარ“.

გარდა ამისა, ფესტივალის დღეებში აჩვენებენ ფერად დოკუმენტალურ ფილმს „დემოკრატიული გერმანია“, რომელიც საბჭოთა კინომუშაკებმა შექმნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინომუშაკებთან თანამშრომლობით.

კინოფილმების მომავალი ფესტივალი ჩვენი ქვეყნის უდიდეს ქალაქებში შესაძლებლობას მისცემს საბჭოთა კინომაყურებლებს ფართოდ გაეცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოხელოვნებას. (საქტესი).

# გამოვუშვებთ მაღალხარისხოვან კონსერვს

ბათუმის ციტრუსკომბინატის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ჯერ კიდევ 3 დეკემბრისათვის გაანაღდა და 1951 წელს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 850 ათასი ქილა მაღალხარისხოვანი კონსერვის ნაწარმი. 11 თვის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 32 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 20,8 პროცენტით.

დეკემბერში კომბინატი ძირითადად ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავებაზე და მისგან მაქრიანი პროდუქციის—ჯემის, მურაბისა და ხილფაფის — გამოშვებაზე მუშაობდა. 1952 წლის პირველი დღეებიდან კი შევუდექით საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის ნაყინი კონსერვების დამზადებას გრეიფრუტის, ციტრონისა და სხვა სუბტროპიკულ მცენარეთა ნაყოფისაგან. კომბინატის კოლექტივი დიდი მონდომებითა და ენერგიით მუშაობს ამ საპატიო დავალების ვადამდე შესასრულებლად.

ახალი სამეურნეო წლისათვის გულდასმით მოვემზადეთ. მოვიმარაგეთ 1952 წლის პირველ კვარტალში საჭირო ნედლეული, რათა უზრუნველვყოთ კომბინატის შეუფერხებელი მუშაობა ახალი მოსავლის ხილის მიღებამდე.

1952 სამეურნეო წელს გათვალისწინებული გვაქვს წარმოების მთელი რიგი შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაცია. შევიძინეთ და დავდგით „პობედის“ სისტემის ქილების დამხუფავი მანქანა, რაც უზრუნველყოფს ამ სამუშაოს მთლიან მექანიზაციას. დაიდგმება აგრეთვე ვერტიკალური შემთუთქავი აპარატი, რაც რამდენჯერმე გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ვაშლის ფაფის (პიურეს) ხარისხს. მოკლე ხანში დავდგამთ აგრეთვე ჯემისა და ხილფაფის სახარშავ ორ დიდ ქვაბს, რომელთა წარმადობა ბევრჯერ აღემატება ამჟამად არსებული ქვაბების წარმადობას. გარდა ამისა, წელს განვახორციელებთ მანდარინის წვენის გამომშვები აგრეგატის რეკონსტრუქციას, რაც უზრუნველყოფს დანაკარგების შემცირებას და მანდარინის მურაბისა და წვენის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მიზნით დაიდგმება და ათვისებულ იქნება კომბინატის ხარატის ხ. გემიჯიანის მანდარინის ზედაკანის გამცილებელი მანქანა.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელებით უზრუნველვყოფთ 1952 წლის მნიშვნელოვნად გადიდებული გეგმის წარმატებით შესრულებას და კონსერვის ნაწარმის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას.

**შ. თოდრია**

ბათუმის ციტრუსკომბინატის დირექტორი

# მეტი შაქარი ქვეყანას

**აგარა.** (საკ. კორ.). ბერიას სახელობის აგარის შაქრის ქარხნის კოლექტივმა გასული სამეურნეო წელი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა, წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 30.800 ფუთი მაღალხარისხოვანი შაქარი. ამასთანავე ქარხანაში მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

1952 წელი ახალი წარმატებებით აღნიშნეს აგარელმა მეშაქრეებმა. ახალი წლის პირველ სამ დღეში ქარხანამ ნაცვლად 18.000 ფუთისა გამოუშვა 24.000 ფუთი შაქარი.

საუკეთესო წარმატებებს აღწევს ი. იკოევის ცვლა. მისი ცვლა ორი ათასი ფუთის ნაცვლად დღეში 2.800 ფუთ შაქარს უშვებს. სტახანოველები ა. თორთლაძე, კ. გულაშვილი, ი. მერეკლიძე და სხვები ყოველდღიურ დავალებებს 150-180 პროცენტით ასრულებენ.

# სიახლე აბრეშუმის ქსოვაში

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის აბრეშუმის სამმართველოს ლაბორატორიის სამეცნიერო-საკვლევმა ჯგუფმა ახალი სამეურნეო წლიდან წარმოებაში დანერგა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ი. მუჯირის მიერ დამუშავებული ხელოვნური აბრეშუმის გამოხარშვისა და რეცხვის ახალი ტექნოლოგია.

ამ წესით ხელოვნური აბრეშუმის გამოხარშვა და რეცხვა დიდად აუმჯობესებს შრომითს პირობებს, ამარტივებს ხელოვნური აბრეშუმის დამუშავების პროცესებს და უზრუნველყოფს ქსოვილის თანაბარ შეღებვას. ამავე დროს მთლიანად გამოდის ხმარებიდან სარეცხი საპონი, რითაც სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ ეკონომიას მიიღებს.

ლაბორატორიაში აითვისეს და წარმოებაში დანერგეს ხუთი ახალი სახის სხვადასხვა ქსოვილის (ზოლიანი კრეპდეშინი, შტაპელური სატინი, ზოლიანი აბრეშუმის ტილო და სხვ.) წარმოება. ახლად ათვისებული ქსოვილები ლამაზი, მტკიცე და კარგად დაჩითული გამოდის.

# პარტორგანიზაცია უყურადღებობას იჩენს, საკოლმეურნეო სახსრები და დოვლათი ნიავდება

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია ღრმად შეისწავლოს კოლმეურნეობის ეკონომიკა, დაუღალავად იბრძოლოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად გატარებისათვის, ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაკოლმეურნეო ტენდენციების ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

მაგრამ როცა საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია აღნიშნულ საკითხებს განზე უდგას, კოლმეურნეობაში ადვილად იჩენს თავს ყველა სახის ანტისაკოლმეურნეო მოქმედება.

ამის მაგალითს იძლევა მახარაძის რაიონის სოფელ ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა.

პარტიული ორგანიზაციის (პარტბიუროს მდივანი კ. სიამაშვილი) კრებაზე იშვიათად იხილავენ საკოლმეურნეო წარმოების საკითხებს. ამასთან საკითხების განხილვისას იღებენ ზოგად, არაფრისმთქმელ დადგენილებებს.

გასული წლის 19 მარტს პარტიულმა კრებამ მოისმინა საკითხი: „საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულების მიმდინარეობა ვაკიჯვრის კოლმეურნეობაში“. კრებაზე აღინიშნა, რომ ნელი ტემპით და უხარისხოდ მიმდინარეობდა ჩაის გასხვლა, მოწესრიგებული არ იყო ჩაის მსუბუქი შებარვა, ჩამორჩენილი იყო ჩაის ახალი პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება, ჩაის პლანტაციაში აზოტოვანი სასუქის შეტანა და სხვ. მიღებულ დადგენილებაში კი მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერი არ დაუსახავთ.

პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეობის გამგეობის ქებადიდებას უფრო მეტ დროს ანდომებს, ვიდრე ნაკლოვანებათა მხილებას.

პარტბიურომ კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი მტკიცე კონტროლის მაგივრად აირჩია კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობაში „ჩაურევლობისა“ და მისდამი მაამებლობის პოზიცია. ამან ის გამოიწვია, რომ კოლმეურნეობაში გახშირდა საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-დატაცება და განიავება.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით კოლმეურნეობებს სასტიკად აკრძალული აქვთ საკოლმეურნეო წარმოების გარე სამუშაოებზე კოლმეურნეთათვის შრომადღეების დარიცხვა და საკოლმეურნეო სახსრების ხარჯვა. კოლმეურნეობას ხელმძღვანელობამ უგულებელყო აღნიშნული დადგენილება და იმ კოლმეურნეებს, რომლებიც რაიონული თეატრის მშენებლობაზე მუშაობდნენ, გასულ წელს 260 შრომადღე დაურიცხა, ხოლო რაიონული ჰიპოდრომისა და სტადიონის მშენებლობის ფონდში ასევე უკანონოდ გადარიცხა 100.000 მანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობას საკმაო მუშახელი ჰყავს, მაინც მიმართავენ მუშახელის დაქირავების დასაგმობ პრაქტიკას. 1950 წლის ნოემბერში კოლმეურნეობამ ჩაის პლანტაციის შესაბარავად დაიქირავა მუშახელი და 26.530 მანეთი მისცა. ეს თანხა ხელმოუწერლად დააწერეს და გადაახდევინეს კოლმეურნეებს, სამაგიეროდ შრომადღეები შესრულებული სამუშაოს მიხედვით დაურიცხეს. ასევე 34.850 მანეთი გასცეს დაქირავებულ მუშებზე ავტომანქანებიდან სასუქისა და ხორბლის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის, მაშინ როცა ეს სამუშაო კოლმეურნეებს უნდა შეესრულებინათ.

კოლმეურნეობას საკუთარი ძალებით „ზეგესის“ მშენებლობაზე 1950-1951 წლებში გარკვეული სამუშაო უნდა შეესრულებინა, რაშიც სათანადო თანხებს იძლევა „ზეგესის“ მშენებლობის სამმართველო. ვაკიჯვრელებმა ამ დავალების შესრულების დროსაც მუშახელის დაქირავების „ნაცად“ მეთოდს მიმართეს და ამ მიზნით 1950 წელს 67.481 მანეთი დახარჯეს, ხოლო 1951 წელს 21.450 მანეთი.

ვაკიჯვრის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები იმდენად გაიტაცა მუშახელის დაქირავებამ, რომ ისეთი სამუშაოც კი მოიგონეს, რომელსაც საკოლმეურნეო წარმოებასთან საერთო არა აქვს რა. რაისაბჭოს აღმასკომმა და რაიონულმა საგზაო განყოფილებამ კოლმეურნეობას დაუმტკიცეს „მუდმივი საგზაო ბრიგადის საგზაო მშენებლობის საწარმოო-სატიტულო გეგმა 1951 წლისათვის“. გეგმაში ნაჩვენები იყო საპლანტაციო გზის მშენებლობა 0,5 კილომეტრზე. ამისათვის გათვალისწინებული იყო 1.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოს შესრულება, რაც 200 კაც-დღის შრომას მოითხოვდა. ფულადი ღირებულებით ეს 2.600 მანეთის ოდენობით იყო ნავარაუდევი. ამჯერადაც „ნაცადი“ გზა აირჩიეს: 1950 წლის 15 დეკემბერს ერთი მხრივ კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიმონ მოქიას და მეორეს მხრივ დაქირავებული მუშახელის ბრიგადირ გრიგოლ გურულს (იგი ცაგერის რაიონის სოფელ გვესოს მცხოვრებია) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით გ. გურული ვალდებულებას კისრულობდა გაეყვანა საავტომობილო-საპლანტაციო გზა ერთი კილომეტრის სიგრძისა, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობა კისრულობდა დაქირავებული მუშახელისათვის მიეცა ყოველი კუბმეტრი მიწის სამუშაოს შესრულებისათვის 18 მანეთი და 15 კაპ.

მუშაობა დაიწყო 1950 წლის 15 დეკემბერს, და შესრულებული სამუშაოს აქტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დასრულდა 1951 წლის 2 ივნისს. კომისიამ 12 კაცის შემადგენლობით, მათ შორის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. მოქიამ, რაიონული საგზაო განყოფილების ინჟინერმა ირაკლი ბურჭულაძემ, გზის ოსტატმა ლეონიდე ჰელიძემ და სხვებმა მიიღეს „საპლანტაციო გზა სიგრძით 1.272,8 მეტრი“, რისთვისაც კოლმეურნეობამ დაქირავებულ მუშათა ბრიგადას 273.782 მანეთი და 30 კაპიკი გადაუხადა.

მაგრამ აშკარა ეჭვს იწვევს ვაკიჯვრის კოლმეურნეობის ბუხჰალტერიაში დამზადებული დასახელებული ხელშეკრულება და აქტი.

ჯერ-ერთი, კოლმეურნეობის შემოსავლიდან 273.782 მანეთი და 30 კაპიკი ისე გაიცა, რომ კოლმეურნეთა საერთო კრებისა და გამგეობისათვის ამის თაობაზე არაფერი მოუხსენებიათ.

მეორე, გზის გაყვანა არაფრით არ არის გამართლებული, იმიტომ რომ იგი თუ ოდესმე ექსპლოატაციაში შევიდა, სამსახურს გაუწევს 5-6 ჰექტარ ჩაის პლანტაციას, რომელშიც კარგი საურმე გზა შედის. შემდეგ, გზის მშენებლობა დაწყებულია იმ ადგილიდან, სადაც განზრახულია მისი მიყვანა. ამ გზის ექსპლოატაციაში შესასვლელად საჭიროა მდინარე ნატანებზე კაპიტალური ხიდის აგება, რაც დაახლოებით ერთი მილიონ მანეთამდე დაჯდება; გარდა ამისა, დამატებით კიდევ უნდა გაკეთდეს ერთი კილომეტრი გზა მაინც.

დასასრულ, თვით ეს „საპლანტაციო-საავტომობილო გზა“ ფაქტიურად აღარ არსებობს. იმის გამო, რომ იგი მოუხრეშავი იყო, არ ჰქონდა საჭირო არხები და სხვ., ნიაღვრებმა ისე დაანგრია, რომ ქვეითად გავლაც კი ჭირს.

მაგრამ ყველაფერი ამით როდი მთავრდება. აქ მეორე სახის ბოროტებასთანაც გვაქვს საქმე. ამ „გზის“ მშენებლობაზე 18 კაცი მუშაობდა, რომელთაც ექსპლოატაცია გაუწია „ბრიგადირმა“ გრ. გურულმა. ამის შესახებ ამ „გზაზე“ მომუშავე ინდიკო ხეცურიანმა (ისიც ცაგერის რაიონის სოფელ გვესოს მცხოვრებია) გაგვიცხადა, რომ იგი სამუშაოზე მოვიდა 1951 წლის იანვარში. გურულმა მას უთხრა, რომ კოლმეურნეობა ერთი კუბმეტრი მიწის გამოთხრაში 15 მანეთს გვაძლევსო (მაშინ, როდესაც 18 მანეთად და 15 კაპიკად იყვნენ გარიგებული). ხეცურიანმა ამ პირობით დაიწყო მუშაობა. ანგარიშსწორების უწყისში ნაჩვენებია თითქოს ი. ხეცურიანმა 176 ფაქტიური დღე იმუშავა, გამოიმუშავა 19.060 მანეთი და ხელზე მიიღო 15.487 მანეთი და 40 კაპიკი. სინამდვილეში კი ი. ხეცურიანმა აქ 117 დღე იმუშავა და ნაღდად 10.000 მანეთი მიიღო. ვინ მიითვისა ი. ხეცურიანის კუთვნილი დანარჩენი 5.487 მანეთი და 40 კაპიკი? ასევე დიდი თანხები დააკლეს ყველა სხვა მუშას. მოტყუების გზით მუშებისაგან ფულების გამოძალვის სურვილმა გ. გურულს სინდისის ნატამალიც კი დააკარგვინა: აღნიშნულ უწყისში ნაჩვენებია, თითქოს მან აქ 225 დღე იმუშავა, რაზედაც მიღებული აქვს 24.367 მანეთი და 50 კაპიკი. ეს მაშინ, როდესაც სამუშაოს წარმოების პერიოდი ხელშეკრულების დადების დღიდან „გზის“ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის დღემდე — 1951 წლის 2 ივნისამდე რომ ვიანგარიშოთ, 170 დღეს არ აღემატება. საკითხავია, საიდან წაამატა გურულმა 55 დღე?

ამით არ ამოიწურება ვაკიჯვრელ ბოროტმოქმედთა საქმენი. კოლმეურნეობის კანტორის 2 ოთახისა და ფასადის შესაღებავად კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ნ. სანადირაძისაგან 10.500 მანეთის საღებავი შეიძინა და მასვე ხელფასად 11.500 მანეთი გადაუხადა, ე. ი. სულ ამ მიზნით 22.000 მანეთი დაიხარჯა, რაც რამდენჯერმე აღემატება ამ სამუშაოს ნამდვილ ღირებულებას.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ტრაქტორისტებს 3.407 მანეთის პროდუქტები მისცა, რაც წესის მიხედვით, ტრაქტორისტებისათვის ანგარიშსწორების დროს უნდა გამოექვითათ, მაგრამ რატომღაც ხარჯებში გაწერეს.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობას 2 ავტომანქანა და საკმაო მუშა-პირუტყვი ჰყავს, ერთ-ერთი ფართობიდან დაქირავებული მანქანებით ამოზიდეს სიმინდის მოსავალი, რაშიც, როგორც კოლმეურნეობის ხელმძღვანელები აცხადებენ, 8.518 მანეთი გადაიხადეს. ამასთან, აღნიშნული თანხა დაბეგრილი არ არის სახელმწიფო გადასახადებით და ფულის მიმღების ვინაობაც გაურკვეველია.

საკმაო მუშახელის უყოლობის მოტივით კოლმეურნეობაში წელს ყურძნის მოსავალი არ მოუკრეფიათ; კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ იგი მოსაკრეფ მდგომარეობაში მიჰყიდა კოლმეურნეებს — კილოგრამი 1,5 მანეთად. შემფასებელი კომისია მეზობლურად საზღვრავდა მოსავლის რაოდენობას და იმიტომ კილოგრამი ყურძენი ფაქტიურად 50 კაპიკად გაიყიდა, რის გამოც კოლმეურნეობამ დიდი ზარალი ნახა. მეორე მხრივ საინტერესოა ვიკითხოთ: თუკი კოლმეურნეებმა პირადი მოხმარებისათვის შეძლეს აღნიშნული ყურძნის დაკრეფა, რატომ არ შეეძლო გაეკეთებინა ეს კოლმეურნეობას იმავე კოლმეურნეთა ძალებით?

კოლმეურნეობაში გაბერილია შტატები. ზედმეტად აყვანილი ჰყავთ ერთი მოანგარიშე, ერთი საწყობის გამგე და მეველეები, რაზეც თვეში 264 შრომადღე იხარჯება.

როგორც ვხედავთ, კოლმეურნეობაში ასეთი დარღვევები ხდებოდა, ხოლო არც ერთი მათგანი პარტორგანიზაციის მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

ვაკიჯვრის კოლმეურნეობაში დაშვებულ დარღვევათა მეტი ნაწილი ცნობილი იყო საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომისათვის. ეს საკითხი რაიკომის ბიუროზე მეორე მდივანმა ამხ. ტკ. გობრონიძემ დააყენა. მაგრამ ამხ. გობრონიძემ შეცდომაში შეიყვანა ბიურო, როდესაც განაცხადა, რომ საპლანტაციო გზის მშენებლობაზე 273.782 მანეთისა და 30 კაპიკის დახარჯვის შესახებ არსებობს კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილება. ამხ. გობრონიძემ სწორად მიიჩნია აგრეთვე აღნიშნული გზის მშენებლობა და ყოველმხრივ ამართლებდა კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს ამ საქმეში. ამის შედეგად რაიკომის ბიურომ მიიღო აშკარად ლიბერალური დადგენილება. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. მოქიასა და პარტბიუროს მდივანს კ. სიამაშვილს მხოლოდ საყვედური აამარა.

მაგრამ პარტიის მახარაძის რაიკომის ბიუროს ყოველთვის ასეთი ლიბერალური დადგენილებები როდი გამოაქვს.

ამას წინათ რაიკომის ბიურომ განიხილა შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობის საკითხი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. დარჩია მოიხსნა თანამდებობიდან და დანაშაულთა საკითხი გადაეცა რაიონის პროკურატურას. აქვე დავძენთ, რომ შემოქმედის კოლმეურნეობაში არსებული დანაშაულებანი წვეთია იმ დანაშაულობათა ზღვასთან შედარებით, რასაც ადგილი აქვს ვაკიჯვრის კოლმეურნეობაში.

უფრო მეტიც, ამას წინათ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადაში, რომელსაც პლატონ მუჯირი ხელმძღვანელობს, აღმოაჩინეს ერთი დაქირავებული მუშა, რომელიც ჩაის პლანტაციას ბარავდა. სახელდახელოდ მოწვეულმა რაიკომის ბიურომ დაქირავებული მუშახელის გამოყენებისათვის ბრიგადირი პლ. მუჯირი პარტიიდან გარიცხა, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. ბაღათურიას სასტიკი საყვედური გამოუცხადა საღრიცხვო ბარათში შეტანით.

ასეთ ღონისძიებათა ფონზე, ცხადია, მკრთალად მოჩანს ვაკიჯვრის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა მიმართ რაიკომის ბიუროს მიერ გატარებული ღონისძიება, და ეს მით უმეტეს მაშინ, როდესაც ვაკიჯვარში ჩაის პლანტაციის ნიადაგის მომზადებაზე ამჟამადაც მუშაობს დაქირავებული მუშახელის ბრიგადა, ხოლო კოლმეურნეები მეტ დროს უქმად ატარებენ.

უცნაური და გაუგებარია პარტიის მახარაძის რაიკომის ბიუროს ლიბერალური დადგენილება ვაკიჯვრელ ბოროტმოქმედთა მიმართ. საკოლმეურნეო ქონების დამტაცებლები და მათი მფარველები სასტიკად უნდა დაისაჯონ.

**ვ. ჯაყელი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# გამსხვილებულ კოლმეურნეობაში

**წითელწყარო.** (სპეც. კორ.). სოფელ არბოშიკის ბერიას სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობა 317 კომლს აერთიანებს. აქ არის მემინდვრეობის 8 ბრიგადა, მევენახეობის 3 ბრიგადა, აქვთ კარგად მოწყობილი მეძროხეობის, მეკამეჩეობის, მეცხენეობის და მეცხვარეობის ფერმები. კოლმეურნეობას 21.000-ზე სულზე მეტი ცხვარი ჰყავს.

გამსხვილების შემდეგ ფართოდ იყენებენ მსხვილ სამანქანო ტექნიკას. კოლმეურნეობას აქვს 18.000 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი. აქედან რამდენიმე ათასი ჰექტარი საძოვრებს უკავია, ხოლო სახნავ-სათესი ფართობი ამჟამად შეადგენს 4.200 ჰექტარს. შარშან შემოდგომაზე მარტო ხორბალი 3.410 ჰექტარი დათესეს, მათ შორის დოლის პური—2.700 ჰექტარი.

კოლმეურნეობაში დიდ ყურადღებას აქცევენ მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა განხორციელებას. მთელი ფართობი ტრაქტორებით მოხნეს და სათესი მანქანებით მწკრივად დათესეს. 1.685 ჰექტარზე შეიტანეს მინერალური სასუქები, იყენებენ ორგანულ სასუქსაც.

კოლმეურნეობაში სამუშაოთა გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს გამარჯვების მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებმა ა. ჭრელაშვილმა, ა. დათუკიშვილმა; მთესავებმა თ. გონაშვილმა, ი. კოტაშვილმა, ა. ალადაშვილმა და სხვებმა. კოლმეურნეობა ყოველწლიურად ადიდებს ხორბლის სათეს ფართობს. მარტო შარშან ათვისებულ იქნა 721 ჰექტარი ახალი მიწა.

ახლა კოლმეურნეობაში ემზადებიან მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის, 1952 წლის საწარმოო გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს

პრეზიდიუმში

## საკავშირო პროფსაბჭოს VII პლენუმის შედეგების შესახებ

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე მოიწვიონ პროფკავშირთა აქტივის კრებები ქალაქებსა და რაიონებში, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, აღნიშნულ კრებებზე განიხილონ საკავშირო პროფსაბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებანი და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 1952 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დადების შესახებ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათი შესრულებისათვის.

პროფსაბჭოს საორგანიზაციო-მასობრივ განყოფილებას დაევალა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე მოიწვიოს პროფკავშირული აქტივის საკავშირთაშორისო კრებები, რომელთა დღის წესრიგში დასვან საკავშირო პროფსაბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებათა და 1952 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დადების შესახებ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების განხილვის საკითხი.

პრეზიდიუმმა პროფკავშირული აქტივის საქალაქო და რაიონული კრებებისათვის გამოჰყო საქართველოს პროფსაბჭოს და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები.

## სამეცნიერო სესია სოხუმში

**სოხუმი.** (საქ. კორ.). აქ შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია აფხაზთა ენისა და ისტორიის საკითხების განსახილველად და გასულ წელს აფხაზეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგების შესაჯამებლად. სესიამ მოისმინა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატების ხ. ბღაჟბას და ბ. შინკუბას, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატების ს. კალანდაძისა და მ. თრაფშმას მოხსენებები.

საინტერესო აღმოჩნდა მოხსენება 1951 წელს სოფელ ყულანურხვაში (გუდაუთის რაიონი) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებზე.

სამეცნიერო სესიამ მოისმინა აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატების პ. რატიანის, ი. ანთელავას, გ. ძიძარიას, ა. ოლონეცისა და შ. ინალიფას მოხსენებები.



თბილისი. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა. სურათზე: ოსტატი თ. უსანეთაშვილი (მარჯვნივ) ახალგაზრდა ხარატს გ. ბუცხრიკიძეს უხსნის დეტალის ნახაზს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

## ახალგაზრდა მეშახტეები

ახალციხის შახტებში მომუშავე მეშახტეთა დიდი ნაწილი ახალგაზრდობაა. ესენი არიან საკოლმეურნეო მინდვრებზე მომუშავე ადამიანთა შვილები, რომლებმაც მეშახტის საპატიო პროფესია შეისწავლეს და ყოველდღიურად ეუფლებიან ქვანახშირის ამოღების ოსტატობას.

დეკემბერში შესრულდა ერთი წელი, რაც მეორე შახტში მუშაობა დაიწყო კომკავშირელმა ისაკი გვარამაძემ. იგი ლავში ქვანახშირის დამწევის მოვალეობას ასრულებს. პროფესიის დაუფლების დაუცხრომელი სურვილით და ბეჯითი შრომით მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. სააღრიცხვო ჟურნალში მისი დღიური გამომუშავება ყოველთვის ასზე მეტი პროცენტით აღინიშნება.

ივლისიდან ი. გვარამაძემ მუშაობა დაიწყო კომკავშირული ცვლის ქვანახშირის დამწევთა სტახანოვურ ბრიგადაში, რომლის ხელმძღვანელია კომკავშირელი ს. ბაღდოშვილი. ამ ბრიგადის ყველა ახალგაზრდა მუშა სტახანოველია. მათ შორის წარმოებაში ახალმოსული ახალგაზრდა ი. გვარამაძე ყოველთვიურად ადიდებს გეგმის შესრულების მაჩვენებლებს. მან ივლისის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა, ნოემბრისა—125 პროცენტით, ხოლო 1951 წლის დავალება 5 ნოემბერს 115 პროცენტით გაანაღდა. ამ წარმატებებისათვის იგი საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

16 წლისა იყო ი. ბაკურაძე, როცა ხარატის სპეციალობა შეისწავლა. მან წარმატებით დაამთავრა სახელოსნო სასწავლებელი და 1948 წლის აგვისტოდან ახალციხის მეორე შახტის მექანიკურ სახელოსნოში ხარატად დაიწყო მუშაობა. ი. ბაკურაძე ყოველდღიურ დავალებას 200 პროცენტით ასრულებს. წელს მექანიკურ სახელოსნოში ი. ბაკურაძის ხელმძღვანელობით ორი ახალგაზრდა ეუფლება ხარატის პროფესიას. ესენი არიან უშანგი ტაბატაძე და შოთა ლომიძე.

ახალგაზრდა მეშახტეთა სტახანოვურ ბრიგადაში მუშაობენ ქვანახშირის დამწევი ბ. ხარაშვილი, მნგრეველები ს. ხოცოკიანი ხ. გრიგორიანი, გ. მათევოსიანი, რომლებმაც 2 თვით ადრე გაანაღდეს თავიანთი წლიური გეგმები.

კომკავშირელი მეშახტეები ყოველდღიურად ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას. ივლისიდან ახალგაზრდულ-კომკავშირული ცვლის შემადგენლობაში დააკომპლექტეს მნგრეველთა, გამმაგრებელთა, გამგორებელთა და ქვანახშირის დამწევთა ბრიგადები. განმტკიცდა შრომის დისციპლინა, ნერგავენ შრომის მოწინავე მეთოდებს. ამის შედეგად ახლა ცვლის ყველა ბრიგადა სტახანოვურია. ახალგაზრდულ-კომკავშირული ცვლა დანარჩენ ცვლებთან შედარებით დღეში 20-22 ვაგონით მეტ ქვანახშირს იღებს.

ქვანახშირის სადაბო ცენტრში—ვალეში არსებობს სამთო-სამრეწველო სკოლა, რომელიც მაღალკვალიფიციურ კადრებს უმზადებს ახალციხის შახტებს. ამ სკოლაში აითვისა გამმაგრებლის პროფესია ადიგენელმა ახალგაზრდამ ა. ქველიძემ. ახლა იგი მეორე შახტის სახელმოხვეჭილი გამმაგრებელია და გამომუშავების ნორმებს 140-150 პროცენტით ასრულებს. ასეთივე მაჩვენებლებს აღწევს გამმაგრებელი ვ. ტეფნაძე.

სამთო-სამრეწველო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი მუშაობს ახალციხის შახტმშენებლობის ობიექტებზე გამყვანად, ამწმენდად, ქვის მთლელად, დურგლად და მლესავად. ესენი არიან ა. ოგანესიანი, მ. ბბულაძე, ნ. პოპოვიჩი, მ. ცირაბიანი, მ. უნანიანი და სხვები, რომლებიც დღიურ ნორმებს 170-190 პროცენტით ანაღდებენ.

ნაყოფიერია ახალციხელ ახალგაზრდა მეშახტეთა შრომა. დღითიდღე ძლიერდება მათი შრომა ახალციხური ქვანახშირით ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის მზარდი მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად.

**ი. ხარებავა**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## ჭიათურელი და უკრაინელი მოსწავლეების მეგობრობა

**ჭიათურა.** (საქ. კორ.). მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხის და უკრაინის სსრ ჩერნიგოვის ოლქის ლინოვიცას სკოლების მოსწავლეთა შორის. ჭიათურელმა მოსწავლეებმა გულითადი წერილი გაუგზავნეს უკრაინელ მეგობრებს, მისწერეს თავიანთი სკოლის მუშაობაზე, პიონერთა საქმიანობაზე, დაეხმარნენ მშობლიური სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების გაცნობა-შესწავლაში. რამდენიმე დღის წინათ ჭიათურელმა მოსწავლეებმა უკრაინიდან საპასუხო წერილი და საჩუქარი მიიღეს. უკრაინელმა მოსწავლეებმა მათ მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების ჰერბარიუმი გამოუგზავნეს.

ჭიათურელი მოსწავლეები უკრაინაში გასაგზავნად ამზადებენ საქართველოს ისტორიული ადგილებისა და დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ფოტოალბომს, აგრეთვე სუბტროპიკული მცენარეების თესლს.

## მოსწავლეთა ექსკურსიები

საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს თბილისის საექსკურსიო ბაზამ საზამთრო არდადეგების დაწყების შემდეგ მომსახურება გაუწია თბილისის სკოლების 1.500-ზე მეტ მოსწავლეს. მოსწავლეთა ექსკურსიები ეწყობა თბილისის ისტორიულ-რევოლუციური ადგილების, მუზეუმებისა და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების დასათვალიერებლად. მრავალი ექსკურსია მოეწყო ქალაქ გორში, სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის, ზუაჩაურმშენის დასათვალიერებლად, აგრეთვე საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სანახავად.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

## თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის

ამასწინათ სოფლკორი გვწერდა, რომ თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის 8-წლიანი სკოლის დირექტორი ი. მიქელაძე თანამდებობას ბოროტად იყენებს, მან სკოლის ნაკვეთზე მოყვანილი 45 ფუთი სიმინდი მიისაკუთრა, თავისი დისწული სკოლის მომმარაგებლად გააფორმა და ამ გზით მიიღო მომმარაგებლის 4 თვის ხელფასი. მანვე მოკლა კოლმეურნეობის ღორი.

წერილი გამოსარკვევად გაეგზავნა „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტს თელავის რაიონში. როგორც კორესპონდენტი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ბიურომ, რომელმაც აღნიშნულ დანაშაულობათათვის ლაფანყურის 8-წლიანი სკოლის დირექტორი ი. მიქელაძე მოხსნა თანამდებობიდან, უკან დააბრუნებინა სკოლის ნაკვეთის მოსავალი და კოლმეურნეობის ღორის საფასური.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## სერგეი მესხის წერილები

აფხაზეთის სახელგამმა გამოსცა გაზეთ „დროების" რედაქტორის სერგეი მესხის კერძო წერილები.

წიგნში სულ 101 წერილია. ყველა ისინი სერგეი მესხს მიუწერია საზღვარგარეთ (შვეიცარიაში) თავის დანიშნულ ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილისათვის, პეტრე და სტეფანე მელიქიშვილების დისათვის, რომელიც 1873 წლიდან 1876 წლამდე საზღვარგარეთ იყო, ხოლო 1876 წელს სამშობლოში დაბრუნდა და ჯვარი დაიწერა სერგეი მესხზე.

მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლები ის ხანაა, როცა ქართველი ინტელიგენციის პირველმა წყებამ სწავლა-განათლების მისაღებად მიაშურა საზღვარგარეთის ქალაქებს, განსაკუთრებით შვეიცარიას (ციურიხი, ჟენევა). ამ ქვეყნის ქალაქებში სწავლობდნენ: ალექსანდრე სარაჯიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ვასილ პეტრიაშვილი, დავ. მიქელაძე (მეველე), ივანე მესხი (ძმა სერგეი მესხისა), ბესარიონ ჯაფარიძე, დავ. ქიდაგიძე, დები ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძენი, ოლღა გურამიშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი და სხვ.

ციურიხში მყოფმა ქართველობამ სხვათა შორის ითავა ქართულად სახელმძღვანელო წიგნების შედგენა.

თავის წერილებში სერგეი მესხი ეკ. მელიქიშვილს ემუდარება — ისწავლოს, ისწავლოს და კიდევ ისწავლოს, რომ გამოადგეს თავის სამშობლოს, მოემზადოს მომავალი ცხოვრებისათვის. გაჭირვება აუარებელია, ამ გაჭირვებასთან მებრძოლნი კი თითზე ჩამოსათვლელნი არიან. ყველას დაბალ ღობედ მივაჩნივართ და გვჩაგრავს. მათს ასეთ პოლიტიკას უნდა ვუფარხმალოთ ჩვენი სწავლა-განათლება.—ასეთ აზრს ანვითარებს ს. მესხი თავის წერილებში.

გაზეთ „დროების" რედაქტორი, სერგეი მესხი თავის წერილებში ეკატერინე მელიქიშვილს შესჩივის მაშინდელი ცენზურის ხელში ჩავარდნილი თავისი გაზეთის საშინელ მდგომარეობას. მეფის ხელისუფლების ცენზურის თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა... ყველაფერს, რასაც კი პროგრესულობის ნიშანწყალი ეტყობოდა, შლიდა გაზეთიდან. რამდენი ხვეწნა, რამდენი თავის დამცირება უნდა გამოევლო რედაქტორს იმისათვის, რომ ნება მიეცათ გაზეთი კვირაში სამჯერ გამოეშვათ!.. ამას ემატებოდა უსახსრობა, თანამშრომლების სიმცირე, საკუთარი სტამბის უქონლობა!.. სტეფანე მელიქიშვილის, სერგეი მესხის მომავალი ცოლისძმის, დახმარება რომ არ ყოფილიყო, რედაქცია უნდა დაკეტილიყო... ინტრიგებსა და ათას სხვა ხელისშემშლელ პირობებს ხომ ბოლო არ უჩანდა...

რა გატაცებით, საქმისადმი რა გულშემატკივრობით სწერს ეკ. მელიქიშვილს ს. მესხი თბილისში „წიგნების გამომცემელთა საზოგადოების" დაარსებაზე, რომლის მოთავენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, ბესარიონ ჯაფარიძე, იასე ჭავჭავაძე, დიმიტრი ბაქრაძე, გ. თუმანოვი, პეტრე უმიკაშვილი, სოფ. ერისთავი და თვითონ ს. მესხი. საზოგადოება, როგორც ცნობილია მიზნად ისახავდა ძველი და ახალი მწერლების ნაწარმოებთა გამოცემას.

სერგეი მესხის წერილები გადაგვიშლის საქართველოში 1873-1876 წლებში განათლებისა და კულტურული საქმიანობის სურათს. მკითხველი ამ წერილებიდან ნათლად დაინახავს, თუ რამდენი დაბრკოლების გადალახვა უხდებოდათ მოწინავე ქართველ მოღვაწეებს იმ დროის ეროვნული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარებისა და წინსვლისათვის.

სერგეი მესხის კერძო წერილების გამოცემით უთუოდ კარგი საქმე გაკეთდა. აღსანიშნავია წიგნის რედაქტორის ი. ბოცვაძის შრომა, რაც მას გაუწევია სერგეი მესხის წერილების შეგროვება-დალაგებისათვის და განსაკუთრებით ამ წერილებში მოხსენიებულ პიროვნებათა შესახებ შენიშვნების შედგენისა და განმარტებათა გაკეთებისათვის.

**თედო სახოკია**

## ახალი ქართული კინოფილმები

სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტროდან მიღებულია ცნობა, რომ თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის მიერ გამოშვებული მთელი რიგი კინოფილმები მოწონებული და მიღებულია საბჭოთა კავშირის ეკრანებზე საჩვენებლად.

მოწონებულ ფილმებს შორის არის მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფერადი ფილმი „მწვერვალთა დამპყრობნი", რომელიც ასახავს საბჭოთა ალპინისტების ცხოვრებასა და საქმიანობას. სცენარის ავტორები არიან ნ. ტიხონოვი და დ. რონდელი. ფილმის მთავარი მხატვარია რ. მირზაშვილი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ა. ბალანჩივაძეს და რ. გაბიჩვაძეს. ფილმში მონაწილეობენ მსახიობები ნ. ვაჩნაძე, შ. ღამბაშიძე, ლ. ასათიანი, ზ. ლეჟავა, გ. შავგულიძე, მ. ჯაფარიძე, ვ. ნინუა და სხვ.

ფილმი გადაღებულია მყინვარწვერზე, უშბაზე, შხელდასა და იალბუზზე.

მოწონებულია აგრეთვე სრულმეტრაჟიანი ფერადი დოკუმენტალური ფილმი — „საბჭოთა საქართველო". ეს ფილმი ასახავს ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის დარგში.

ამ ფილმებს შორის არის მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტალური ფერადი ფილმები „ოქროს ჩანჩქრები" და „სამგორი".

„ოქროს ჩანჩქრები" ასახავს საქართველოში მევენახეების წარმატებებს, ხოლო მეორე დოკუმენტალური ფერადი ფილმი „სამგორი" — სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის მიმდინარეობას და სამგორის გახსნის აღსანიშნავ დიდ სახალხო ზეიმს.

## მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებული ხელშეკრულებანი ზუსტად უნდა სრულდებოდეს

ჩვენი რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა დიდი როლი შეასრულეს საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. მათი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მიღწეულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება. რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა სატრაქტორო სამუშაოთა 1950 წლის გეგმა რბილ ხვნაზე გადაყვანით 107 პროცენტით შეასრულეს, ხოლო 1951 წლის პირველი ნახევრისა—123,9 პროცენტით.

მიუხედავად გეგმის ასეთი გადაჭარბებით შესრულებისა, როგორც შემოწმებამ დაგვანახვა, ბევრ მტს-ში არ შეუსრულებიათ ისეთი მნიშვნელოვანი სატრაქტორო სამუშაოები, როგორიც არის ანეულის ხვნა და კულტივაცია, სათოხნი კულტურების კულტივაცია, თიბვა, საკვების დასილოსება, ნაწვერალის აოშვა და სხვა.

ასეთი მდგომარეობა უმთავრესად უნდა აიხსნას გამომუშავების ნორმების, აგრეთვე ცალკეული მარკის ტრაქტორებით საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობით.

ზოგიერთი მტს-ის დირექტორმა აშკარა შეუფასებლობა გამოიჩინა თავისი მომსახურების კოლმეურნეობებში ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დაწესებულ ვადებში შესრულებისადმი, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების სამმართველომ ვერ უზრუნველყო სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი მტს-ების მუშაობაზე და არ მიიღო საჭირო ზომები მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა დროულად შესრულებისათვის. 1950 წლის განმავლობაში სამმართველომ ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობა მხოლოდ 5 მტს-ში შეამოწმა, ხოლო 1951 წელს—13 მტს-ში. 1950 და 1951 წლებში სამმართველოს ერთხელაც არ შეუმოწმებია მტს-ების მიერ კოლმეურნეობათა აგროტექნიკური მომსახურება.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნა, რომ „მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებული ხელშეკრულებანი ზუსტად უნდა სრულდებოდეს. მტს-ების მუშაკებში საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საკითხი მთელი ჩვენი მუშაობის პირველხარისხოვანი საკითხია.

თქვენ იცით, რომ დღემდე, სამწუხაროდ, მტს-ების პრაქტიკაში შემჩნეულია ამ დისციპლინის დარღვევის ბევრი შემთხვევა.

ბევრი მტს-ი დაწესებულ ვადაზე ჯერ კიდევ ვერ ასრულებს კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებს".

ამ მითითებიდან ზოგან ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ სათანადო დასკვნა. მთელი რიგი მტს-ების ხელშეკრულებები ბევრ კოლმეურნეობაში შეუსრულებელი დარჩა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ზოგ კოლმეურნეობაში მტს-ებმა ცალკეული სატრაქტორო სამუშაო შეასრულეს ხელშეკრულების ზევით და ხელშეკრულების გარეშე. ბევრ შემთხვევაში მტს-ებმა დაარღვიეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადები, რასაც ცხადია, უარყოფითი შედეგები მოჰყვა.

სტალინირის მტს-მა (დირექტორი ამხ. მოისწრაფიშვილი) კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი გასულ წელს არადამაკმაყოფილებლად შეასრულა. ამ მტს-ში თესვისწინა ფარცხვა ჩატარებულია 851,4 ჰექტარზე, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2.200 ჰექტარისა, ანეულის ხვნა — 40 ჰექტარზე, ნაცვლად 200 ჰექტარისა, ანეულის კულტივაცია — 22,5 ჰექტარზე, ნაცვლად 600 ჰექტარისა.

თელავის მტს-მა (დირექტორი ამხ. ჩხოტუა) გასულ წელს ხუთ კოლმეურნეობას არ შეუსრულა საგაზაფხულო ფარცხვა 352,8 ჰექტარზე, ოთხ კოლმეურნეობას ანეულის ხვნა—48,9 ჰექტარზე და საგაზაფხულო თესვა—166,5 ჰექტარზე, მაშინ როდესაც ხელშეკრულების ზევით და ხელშეკრულების გარეშე რვა კოლმეურნეობაში საგაზაფხულოდ დაფარცხა 736 ჰექტარი და დათესა 200,7 ჰექტარი.

გურჯაანის მტს-ს (დირექტორი ამხ. ჯავშანაშვილი) 16 კოლმეურნეობისათვის არ შეუსრულებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული თესვისწინა კულტივაცია 1.025,24 ჰექტარზე, 12 კოლმეურნეობისათვის საგაზაფხულო თესვა—559,03 ჰექტარზე, 15 კოლმეურნეობისათვის საგაზაფხულო ფარცხვა—705,04 ჰექტარზე და სათოხნი კულტურების კულტივაცია 2.513,25 ჰექტარზე, მაშინ როდესაც ამხ. ჯავშანაშვილმა ხელშეკრულების ზევით და ხელშეკრულების გარეშე 17 კოლმეურნეობაში საგაზაფხულოდ გადახნა 1.275,31 ჰექტარი და 15 კოლმეურნეობაში დაფარცხა 683,31 ჰექტარი.

კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი არ შეასრულეს აგრეთვე ხაშურის (დირექტორი ამხ. გაგნიძე) და გორის (დირექტორი ამხ. ნათიშვილი) მანქანა-ტრაქტორების სადგურებმა.

ზოგიერთი მტს-ის დირექტორი ნაკლებ ყურადღებას აქცევს გამსხვილებულ კოლმეურნეობებში მექანიზაციის დონის გადიდების საქმეს. მაგალითად, გორის მტს-ს სოფელ ქვემო ხიდისთავის კოლმეურნეობა „ახალი მეურნესათვის" ხელშეკრულებით უნდა შეესრულებინა მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. სოფელ ხიდისთავის ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან ამ კოლმეურნეობის შეერთების შემდეგ მტს-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები აღარ შეუსრულებია.

გორის მტს-ს 1951 წლის პირველ ნახევარში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოებიდან სოფელ ქიწნისის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობისათვის არ შეუსრულებია საგაზაფხულო ხვნა 60 ჰექტარზე, სიმინდის თესვა—27 ჰექტარზე, საგაზაფხულო ფარცხვა—100 ჰექტარზე და საგაზაფხულო თესვისწინა კულტივაცია—100 ჰექტარზე. ასევე არ შეუსრულებია სოფელ სკრის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობისათვის საგაზაფხულო ფარცხვა 44 ჰექტარზე, მზრალის აოშვა—55 ჰექტარზე, თესვისწინა კულტივაცია—100 ჰექტარზე და ა. შ.

ვადების დარღვევასთან ერთად თელავისა და გორის მტს-ების მიერ მათი მომსახურების კოლმეურნეობებში დაშვებული იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების შემთხვევები, განსაკუთრებით დარღვეული იყო ხვნის დაწესებული სიღრმე.

იყო ასეთი ფაქტებიც: იმ დროს, როდესაც, მაგალითად, გორის მტს-ი თავისი მომსახურების მთელ რიგ კოლმეურნეობებს ვერ უსრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, ამ მტს-ის დირექტორის ამხ. ნათიშვილის განკარგულებით შარშან ამავე რაიონის შინდისის მტს-ის ზონას კოლმეურნეობებს ანეულად მოუხნეს 262 ჰექტარი, შეუწამლეს 116 ჰექტარი ბაღი, ხოლო კასპის რაიონის თეძამის მტს-ის მომსახურების სოფელ ხოვლესა და დოესის კოლმეურნეობებს მოსავალი აუღეს 150 ჰექტარზე. ეს ფაქტი არა მარტო უცნაურია, არამედ მტს-ის დირექტორის საეჭვო მოქმედებაზეც მიგვითითებს.

იმის შედეგად, რომ ზოგიერთი მტს-ის დირექტორი ნაკლებ ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობებში აგროზოოტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, კოლმეურნეობებს დაწესებულ ვადებში არ უსრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და არღვევენ ხელშეკრულებებს, ცალკეულ კოლმეურნეობებში ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების შეუსრულებლობის ფაქტებს. მაგალითად, სტალინირის მტს-ის მომსახურების სოფელ ხეთაგუროვის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში 1950 წელს საშემოდგომო ხორბლის მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე შეადგინა 7,1 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერისა, გაზაფხულის ქერის მოსავალმა—4 ცენტნერი, ნაცვლად 14 ცენტნერისა და სიმინდისამ — 6,3 ცენტნერი, ნაცვლად 22,7 ცენტნერისა.

გორის მტს-ის მომსახურების სოფელ კარალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 246 კილოგრამი რძე, ნაცვლად 850 კილოგრამისა, ხოლო სოფელ ხიდისთავის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში — 124,7 კილოგრამი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 კილოგრამისა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების შეუსრულებლობის ანალოგიურ ფაქტებს ვხვდებით აგრეთვე აღნიშნული მტს-ების მომსახურებას სხვა კოლმეურნეობებში.

მტს-ების მუშაობაში დაშვებული ზემოაღნიშნული დარღვევები და ნაკლოვანებანი იმით აიხსნება, რომ როგორც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების სამმართველო, ისე რაიონების სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ მიმართულებით მტს-ების საქმიანობას და, რაც მთავარია, საჭირო დახმარებას და კონტროლს არ უწევენ მათ კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა ზუსტად შესრულებაში.

სტალინირისა და გორის რაიაღმასკომებს შარშან ერთხელაც არ განუხილავთ თავიანთ სხდომებზე მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა შესრულების მიმდინარეობა, ხოლო გორის მტს-ის მიერ თავისი მომსახურების კოლმეურნეობებთან 1950-1951 წლებში დადებული ხელშეკრულებები გორის რაიაღმასკომს რეგისტრაციაშიც კი არა აქვს გატარებული.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ხაშურის რაიაღმასკომმა გასული წლის 7 მარტის სხდომაზე ერთად განიხილა კოლმეურნეობათა 16 ხელშეკრულება, 2 აპრილს—24 ხელშეკრულება, შარშანწინ კი ამავე რაიაღმასკომის მიერ ერთ სხდომაზე განხილულია 50 კოლმეურნეობის ხელშეკრულება.

1950-1951 წლებში გორის მტს-ის, ხოლო 1950 წელს თელავის მტს-ის საბჭოს ერთხელაც არ განუხილავთ ხელშეკრულებების შესრულება. გარდა ამისა, თელავისა და გორის მტს-ების დირექტორებმა, კოლმეურნეობათა წევრების საერთო კრებებს ამ ხნის განმავლობაში ხელშეკრულებათა შესრულებაზე ანგარიში ჩააბარეს მხოლოდ თითოჯერ, ისიც ახალი წლის ხელშეკრულების დადების დროს, და ამავე კრებებზე გააცნეს მათ წარსული წლის შედეგები, მაშინ როცა ხელშეკრულებით, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ არის დამტკიცებული, „მტს-ის დირექტორი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე წელიწადში ორჯერ მაინც აბარებს ანგარიშს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას ამ ხელშეკრულების შესრულების შესახებ".

მიმდინარე წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის ახალი ამოცანები. ამ ამოცანის წარმატებით განაღდება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მტს-ების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

ამოცანა ის არის, რომ ამთავითვე ვემზადოთ მტს-სა და კოლმეურნეობას შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად 1952 წლისათვის, უზრუნველვყოთ ხელშეკრულების დროზე დადება და სისტემატური კონტროლი მისი ურყევად განხორციელებისადმი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიულ დადგენილებაში აღნიშნულია: „მთლიანად აღდგენილ იქნას მტს-ებსა და მათს მომსახურებაში მყოფ კოლმეურნეობებს შორის იმ ხელშეკრულებათა მნიშვნელობა, რომლებიც განსაზღვრავენ მტს-ებისა და კოლმეურნეობების ურთიერთვალდებულებებს, და დაგმობილ იქნას ხელშეკრულებათა შესრულებისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების პრაქტიკა".

ეს დადგენილება პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, პირველ რიგში კი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელმძღვანელებს ავალებს ზუსტად და დროზე შეასრულონ მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებული ხელშეკრულების თვითეული მუხლი, გამოასწორონ ნაკლოვანებანი, რაც ახალ წარმატებათა მოპოვების საფუძველია.

**მ. მითაიშვილი**

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მთავარი კონტროლიორი

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

## დისკუსია პოლიტიკურ კომიტეტში ამჟღავნებს ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" ამერიკული სისტემის აგრესიულ ხასიათს

**პარიზი**, 4 იანვარი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა დისკუსია ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის მოხსენების გამო, რომელიც ითვალისწინებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით უშიშროების საბჭოს უფლებანი და უფლებამოსილებანი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ღონისძიებათა მიღების საქმეში გადაეცეს გენერალურ ასამბლეას, სადაც გადაწყვეტილებას იღებენ ხმის უბრალო უმრავლესობით და სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მათი მორჩილი უმრავლესობის გამოყენებით შეუძლიათ თავს მოახვიონ მათთვის სასურველი ყოველგვარი გადაწყვეტილება.

დილის სხდომის მნიშვნელოვანი ნაწილი მოუნდა პერუს დელეგატის ბელაუნდეს გამოსვლას. ხელოვნური პათეტიკური ტონით იგი ხოტბას ასხამდა წესდების საწინააღმდეგო ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" სისტემას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ თავს მოახვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ ყოველ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმითა და სახელით დაფარონ თავიანთი აგრესიული აქციები.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა სეკანინოვამ დამაჯერებლად გააკრიტიკა ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" ამერიკული სისტემა. მან ცხადყო, რომ ეს სისტემა წარმოადგენს წესდების ძირითადი პრინციპებისა და მიზნებისათვის გვერდის ავლას და მისი მიზანია კანონიერი სახე მისცეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მეთაურობით აგრესიული ატლანტიკის ბლოკის აგრესიულ გეგმებსა და მოქმედებას. ამ სისტემის ძირითადი მიზანია, წესდების საწინააღმდეგოდ, უშიშროების საბჭოს უფლებანი და რწმუნებანი მშვიდობის შენარჩუნების საქმეში გადასცეს გენერალურ ასამბლეას, სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მათი მორჩილი უმრავლესობის იმედით, შეუძლიათ გაიმეორონ ის, რაც უკვე ჩაიდინეს კორეაში თავიანთ ინტერვენციასთან დაკავშირებით, ე. ი. აგრესიის მსხვერპლი გამოაცხადონ აგრესორად და, პირიქით, აგრესორი გამოიყვანონ თავდასხმის მსხვერპლის დამცველის როლში.

სეკანინოვამ ცხადყო, რომ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" პროგრამის მიზანია აგრეთვე შეერთებულ შტატებს მისცეს შესაძლებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით ამუშაოს იმ აგრესიული ბლოკების, განსაკუთრებით ატლანტიკური ბლოკის, სამხედრო მანქანა, რომლებიც შექმნილია ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიონისტური გეგმების განსახორციელებლად. იმ ეკონომიურ და სამხედრო ღონისძიებათა ანალიზი, რომლებსაც ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტი გვთავაზობს, ცხადყოფს, რომ საქმე ეხება იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოიყენონ როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო რესურსები სხვა სახელმწიფოებისა, რომლებიც ეკონომიურად და პოლიტიკურად დამოკიდებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რათა განხორციელებულ იქნას ამერიკის მონოპოლიების იმპერიალისტური გეგმები. სეკანინოვამ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც კორეაზე თავდასხმით უკვე გადავიდნენ აშკარა აგრესიაზე, ახალ აგრესიულ აქტებს ამზადებენ. ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატები დასავლეთ გერმანიაში აღადგენენ ჰიტლერულ შეიარაღებულ ძალებს, ხელს უწყობენ იაპონიის მილიტარიზმის აღდგენას და ცდილობენ გამოიყენონ ფრანკისტული ესპანეთის ძალები. გენერალური ასამბლეის განსახილველად შემოტანილი ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" სისტემა წარმოადგენს ცდას—შეერთებული შტატების მიერ ყველა ამ ჩადენილ და მომავლისათვის დაგეგმილ აგრესიულ აქტებს და მოქმედებას მიეცეს კანონიერ ღონისძიებათა სახე, საქმე ისე იქნას დასახული, თითქოს ეს აგრესიული მოქმედება წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოლექტიურ ღონისძიებებს მშვიდობის დასაცავად. ამიტომ, განაცხადა სეკანინოვამ, ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია უარყოფს როგორც ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის მოხსენებას, ისე 11 ქვეყნის დელეგაციების მიერ ამ მოხსენების მოწონების შესახებ შემოტანილ რეზოლუციის პროექტს.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია, თქვა სეკანინოვამ, მიესალმება სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილ რეზოლუციის პროექტს, რომელიც მოითხოვს გაუქმდეს „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტი" და რჩევას აძლევს უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ მოიწვიოს პერიოდული სხდომა იმ ღონისძიებათა საკითხის განსახილველად, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ საერთაშორისო ურთიერთობაში ამჟამად შექმნილი დაძაბულობის აღმოფხვრა და ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება. რეზოლუციის ეს პროექტი მოითხოვს აგრეთვე პერიოდულ სხდომაზე პირველ რიგში განხილულ იქნას საკითხი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს, რათა ხელი შეუწყოს სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ კორეაში წარმოებული მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას.

სეკანინოვამ აღნიშნა, რომ ამ საბჭოთა წინადადების მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა და განმტკიცება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. სწორედ ამიტომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია ხმას მისცემს რეზოლუციის საბჭოთა პროექტს.

## პოლიტიკურ კომიტეტში

**პარიზი**, 4 იანვარი. (საქდესის სპეც. კორ.). პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე გრძელდებოდა ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის მოხსენების განხილვა.

ამ მოხსენების, აგრეთვე 11 ქვეყნის რეზოლუციის დასაცავად, რომელიც შეიცავს წინადადებას მოწონებულ იქნას მოხსენება, განგრძობილ იქნას ერთი წლით ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის მუშაობა და უკვე ახლა გენერალურ ასამბლეას გადაეცეს მთელი რიგი ის უმნიშვნელოვანესი რწმუნებანი მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეში, რომლებიც წესდების თანახმად მხოლოდ უშიშროების საბჭოს ეკუთვნის, გამოვიდნენ საფრანგეთის, ბრაზილიის, ჰოლანდიისა და ფილიპინების დელეგატები. ისინი ცდილობდნენ მოთხოვნა უშიშროების საბჭოსათვის მის უფლებათა და რწმუნებათა ჩამორთმევისა და ამ უფლებათა და რწმუნებათა გენერალური ასამბლეისათვის გადაცემის შესახებ იმით გაემართლებინათ, რომ უშიშროების საბჭო პარალიზებული აღმოჩნდა თითქოს იქ დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის გამოყენების გამო, თუმცა ნამდვილად უშიშროების საბჭოს მოქმედება მთელ რიგ შემთხვევებში მხოლოდ იმის გამო არ შეიძლო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, იყენებენ რა დიქტატის მეთოდებს, მუდამ ცდილობენ თავს მოახვიონ უშიშროების საბჭოს ისეთი რეზოლუციები, რომელთა მიზანია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების აგრესიული გეგმებისათვის მხარდაჭერა.

ამასთან ერთად დისკუსიამ დღევანდელ დღის სხდომაზე ცხადყო, რომ სახელმწიფოთა მნიშვნელოვან რაოდენობას არ სურს მონაწილეობა ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" ამერიკულ სისტემაში, რომელთა ნამდვილი მიზანია აიძულონ სხვა სახელმწიფოები თავიანთი რესურსები და შეიარაღებული ძალები მოახმარონ ამერიკელი მონოპოლისტების აგრესიული გეგმების შესრულებას. ეს, თუმცა არასაკმაოდ თანმიმდევრული და გაბედული, პოზიცია გამოიხატა 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტისათვის მთელი რიგი შესწორებებით, აგრეთვე იმით, რომ სახელმწიფოთა ჯგუფმა მოიწონა რეზოლუციის საბჭოთა პროექტის მნიშვნელოვანი პუნქტები.

მაგალითად, კოლუმბიის, მექსიკისა და ჩილის დელეგაციებმა წინადადება შეიტანეს 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტიდან გამოირიცხოს პუნქტი ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის მოხსენების მოწონების შესახებ და ეს მოხსენება მიღებულ იქნას ცნობად. ამ სამი ქვეყნის მიერ წარმოდგენილი შესწორებანი წარმოადგენენ აგრეთვე ცდას—ხელი შეუშალონ ამერიკის შეერთებულ შტატებს თავისი ნებისამებრ გამოიყენონ სხვა სახელმწიფოთა რესურსები და შეიარაღებული ძალები, რათა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოლექტიურ ღონისძიებათა" ალმით განახორციელონ თავიანთი სამხედრო გეგმები. გამოვიდა რა ამ შესწორებათა დასასაბუთებლად, მექსიკის დელეგატმა განაცხადა, რომ მექსიკა, კოლუმბია და ჩილი ვერ მოიწონებენ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის მოხსენების ყველა დასკვნას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა, თქვა მან, უფლება უნდა მიიღონ თვითონ განსაზღვრონ თავიანთი წვლილის ოდენობა ამ ღონისძიებებში. აგრეთვე არ შეიძლება, დასძინა მან, ვაიძულოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები თავიანთი კანონმდებლობა, თავიანთი კონსტიტუცია შეუგუონ მოთხოვნას მოხსენებით გათვალისწინებულ „კოლექტიურ ღონისძიებებში" უმეტესი მონაწილეობის შესახებ.

ასეთივე მისწრაფებით — თავიდან აიცილონ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" ამერიკული სისტემის განხორციელებაში სავალდებულო მონაწილეობა, ნაკარნახევია 11 ქვეყნის რეზოლუციის შესწორება, რომელიც ავღანეთის, ეგვიპტის, ერაყის, ირანის, იემენის, ლიბანის, საუდის არაბეთისა და სირიის დელეგაციებმა წარადგინეს. ამ შესწორებაში ნათქვამია, რომ 11 ქვეყნის რეზოლუციაში არაფერი „არ უნდა იქნას გაგებული იმ აზრით, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოში ნებადართულია რაიმე ღონისძიების მიღება, თუ ეს სახელმწიფო თავისუფლად და გარკვევით არ გამოთქვამს თანხმობას". სახელმწიფოთა იგივე ჯგუფი (ავღანეთის გარდა) შეუერთდა რეზოლუციის საბჭოთა პროექტის იმ ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს პერიოდული სხდომის გადაუდებელ მოწვევას უშიშროების საბჭოს მიერ იმ ღონისძიებათა საკითხის განსახილველად, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ ამჟამად საერთაშორისო ურთიერთობაში შექმნილი დაძაბულობის აღმოფხვრა და ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება. სახელმწიფოთა ეს ჯგუფი იწონებს აგრეთვე საბჭოთა წინადადების მეორე ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს უწინარეს ყოვლისა იმ ღონისძიებათა საკითხის განხილვას პერიოდულ სხდომაზე, რომლებიც უნდა მიიღო უშიშროების საბჭომ იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ კორეაში წარმოებული მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის.

სირიის დელეგატმა ელ ჰურიმ, დაასაბუთა რა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიერ დაკავებული პოზიცია, განაცხადა, რომ შეუძლებელია გენერალური ასამბლეის შარშანდელი სესიის მიერ „მშვიდობის სასარგებლოდ ერთიანობის" შესახებ მიღებული რეზოლუცია, აგრეთვე „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის მოხსენება შეეუთავსოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რადგან ეს რეზოლუცია და ეს მოხსენება ითვალისწინებენ მშვიდობისა და უშიშროების დაცვის იმ რწმუნებათა გადაცემას გენერალური ასამბლეისათვის, რომლებიც წესდებით მინიჭებული აქვს მხოლოდ უშიშროების საბჭოს.

სირიის დელეგატმა განაცხადა, რომ სირია და სხვა არაბული სახელმწიფოები მხარს უჭერენ რეზოლუციის საბჭოთა პროექტის იმ პუნქტებს, რომლებიც მოითხოვენ დიდ სახელმწიფოთა შორის თანხმობის აღდგენას და, მაშასადამე, იმას, რომ უშიშროების საბჭოს შეეძლოს შეასრულოს მისთვის დაკისრებული ამოცანები.

შეეხო რა 11 სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტს, ელ ჰურიმ განაცხადა, რომ არაბულ სახელმწიფოებს, ისევე როგორც ჩილის, კოლუმბიასა და მექსიკას, სურთ ამ რეზოლუციიდან ამოიღონ ყოველივე ის, რაც შესაძლებელს გახდის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების რესურსები და სამხედრო ძალები გამოყენებულ იქნას ამ სახელმწიფოთა თანხმობის მიუღებლად.

მიმართა რა ლათინური ამერიკის ქვეყნების დელეგაციებს, რომელთა უმრავლესობა მხარს უჭერს ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" ამერიკულ სისტემას, სირიის დელეგატმა თქვა:

— რას იზამთ ან რას უპასუხებთ, რომელიმე სახელმწიფომ რომ თქვენთან მოუთათბირებლად, თქვენი თანხმობის მიუღებლად, თქვენს დაუკითხავადაც კი განაცხადოს, „ჩვენ გადავწყვიტეთ დაგიცვათო". ჩვენ ხომ სწორედ ასე გვეპყრობიან დასავლეთის სახელმწიფოები, როცა მოითხოვენ შევუერთდეთ მათს გეგმებს — ეგრეთწოდებული ახლო აღმოსავლეთის სარდლობის შექმნის გეგმებს.

ეგვიპტის დელეგატმა სალახ ედ-დინ-ფაშამაც განაცხადა, რომ არაბული ქვეყნები არავის დაანებებენ მათთან დიქტატის ენით ლაპარაკს, როგორც ეს სცადეს დასავლეთის სახელმწიფოებმა ახლო აღმოსავლეთის სარდლობის შექმნის საკითხში.

მაგრამ ეგვიპტის დელეგატმა აშკარა არათანმიმდევრობა გამოიჩინა, როცა განაცხადა, რომ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის მოხსენება წარმოადგენს „დასაფასებელ დოკუმენტს", თუმცა ეს ეგრეთწოდებული „კოლექტიური ღონისძიებანი" მათი ავტორების განზრახვით მიზნად ისახავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი რიგი წევრი სახელმწიფოები ჩააბან სწორედ ასეთი აგრესიული გეგმების განხორციელებაში, რომელთა მსხვერპლიც გახდა ეგვიპტე.

არაბული ქვეყნების ჯგუფის პოზიცია დაიცვა აგრეთვე ლიბანის დელეგატმა.

# გამალებული შეიარაღება ამერიკის შეერთებულ შტატებში

## ვილსონის მოხსენება ტრუმენისადმი

**ვაშინგტონი**, 7 იანვარი. (საქდესი). ეგრეთწოდებული თავდაცვისათვის მობილიზაციის სამმართველოს ხელმძღვანელმა ვილსონმა გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენისადმი მე-4 კვარტალური მოხსენება, რომელშიც აღნიშნავს, რომ წელს სამხედრო პროგრამის შედეგად ამერიკელ ხალხს სამოქალაქო მოხმარების საქონელი კიდევ უფრო დააკლდება, ვიდრე შარშან, აღნიშნავს რა, რომ 1952 წლის პირველ კვარტალში მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოებისათვის გამოყოფილი მასალების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა იმ დონესთან შედარებით, რომელიც 1951 წლის უკანასკნელ კვარტალში იყო, ვილსონი ამბობს, რომ ნორმები მასალებისა სამოქალაქო მრეწველობისათვის მეორე კვარტალში, ახლანდელი გაანგარიშების თანახმად, კიდევ უფრო მცირეა, ვიდრე პირველ კვარტალში.

აჩვენებს რა, თუ რა გავლენას მოახდენს სამხედრო წარმოების ზრდა სამოქალაქო ეკონომიკაზე, ვილსონი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ის ფირმები, რომლებიც ამზადებენ რადიომიმღებებსა და ტელევიზორებს, სარეცხ მანქანებსა და ხანგრძლივი სარგებლობის სხვა სამომხმარებლო საქონელს, 40 პროცენტით ნაკლებ ფოლადს მიიღებენ, ვიდრე იმ პერიოდში, რომელიც აღებულია საფუძვლად (საშუალო ციფრი 1950 წლის პირველ ორ კვარტალში). სპილენძისა და ალუმინის გამოყოფილი რაოდენობა ცოტათი მეტია იმ რაოდენობის მესამედზე, რომელიც გამოყენებული იყო საფუძვლად აღებულ პერიოდში.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1952 წლის პირველ კვარტალში თითქმის არ იქნება ნებადართული კომერციული მშენებლობა. გამონაკლისი იქნება მშენებლობა, რაც საჭიროა „თავდაცვითი" რაიონებში საგანგებო საჭიროების დასაკმაყოფილებლად... რჩება კონტროლი მეტი წილი მასალების, მათ შორის ნიკელის, კობალტის, ვოლფრამის, მოლიბდენის, კოლუმბიის, ტანტალისა და მარგანეცის განაწილებისადმი. იმის გამო, რომ საჭიროა სავსებით დაკმაყოფილებულ იქნას სამხედრო მრეწველობის მოთხოვნა ნიკელის მხრივ 1952 წელს, ნიკელის გამოყენება სამოქალაქო საჭიროებისათვის... ფაქტიურად აკრძალულია. ეს აკრძალვა შეეხება ისეთ პროდუქციას, როგორიცაა ავტომობილები, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები, ზოგიერთი მოწყობილობა კვების პროდუქტების წარმოებისათვის, რესტორანების მოწყობილობა და ელექტროსადენი. თებერვლის შემდეგ აიკრძალება დაზგების ყოველგვარი მიწოდება იმ „ფირმებისათვის, რომლებიც თავდაცვაზე არ მუშაობენ..."

ვილსონმა გამოთქვა აგრეთვე გაფრთხილება, რომ „ინფლაციის საფრთხე კვლავ არსებობს თავდაცვის ხარჯების განუწყვეტელი ზრდის გამო".

ილაპარაკა რა ინფლაციასთან ბრძოლის ღონისძიებებზე, ვილსონმა მოითხოვა გადასახადების უფრო გადიდება.

ეხება რა სამხედრო წარმოების პრობლემებს, ვილსონი აღნიშნავს, რომ 1951 წელს შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს სხვადასხვაგვარი საჭურველი, მასალები და მათთვის შესრულდა სამშენებლო სამუშაოები, რომელთა საერთო თანხა დაახლოებით 16 მილიარდ დოლარს უდრის. ამრიგად, საერთო მიწოდებანი, კორეაში ომის დაწყების შემდეგ, ფულადი გამოხატულებით 20 მილიარდამდე დოლარს შეადგენს.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, ამჟამად ამერიკის მრეწველობა ასრულებს 40 მილიარდზე მეტი დოლარის შეკვეთებს, ანუ ერთიორად მეტს, ვიდრე შესრულებული იყო კორეაში ომის დაწყების შემდეგ. თავდაცვის სამინისტროს დამატებით აქვს 38 მილიარდი დოლარი, რომლებზეც კონტრაქტები ჯერ კიდევ არ არის დადებული, და უფრო მეტ თანხას მოითხოვს ბიუჯეტით, რომელსაც ტრუმენი კონგრესის განსახილველად წარადგენს.

# გადასახადთა ზრდა ფინეთში

**ჰელსინკი**, 6 იანვარი. (საქდესი). ფინეთის მშრომელებმა მიიღეს 1952 წლის საგადასახადო წიგნაკები, რომელთა თანახმადაც მეწარმენი გადასახადებს გადაახდევინებენ მშრომელებს. პრესის ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ მშრომელებს დაჰპირდნენ მიმდინარე წელს გადასახადთა შემცირებას, სინამდვილეში გადასახადთა ოდენობა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად მატულობს. თითქმის ყოველმა მშრომელმა უნდა გადაიხადოს თვეში რამდენიმე ასეული მარკით მეტი გადასახადი, ვიდრე შარშან.

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

**(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის ხატრანსლაციო ქსელით)**

**9 იანვარს**

6.25 — კონცერტი ბუდაშკინის და კიჩანოვის ნაწარმოებებიდან. 7.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები. 11.45—ა. შავერზაშვილის საფორტეპიანო კონცერტი. 17.15 — არიები და დუეტები რუს კომპოზიტორთა ოპერებიდან. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 19.15—კამერული მუსიკა. 20.30 — რადიოსადგურებით— გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტების მირცხულავას და კირვალიძის კონცერტი. 20.45 — დ. არაყიშვილის და ზ. ფალიაშვილის რომანსები რადიოკომიტეტის სოლისტის ლ. დევდარიანის შესრულებით. 21.00—ლექცია „ეკონომიური კრიზისების აუცილებლობა კაპიტალიზმის დროს". 21.30 — ახალგაზრდა პოეტების ლექსები. 22.50 — —ქართული ხალხური სიმღერები. 00.05—კონცერტი რახმანინოვის ნაწარმოებებიდან.

# დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — წითელი ყაყაჩო (დილას), ევგენი ონეგინი (საღამოს, მე-2 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — პეპო (დილას და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — ხარატაანთ კერა (დილას და საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის**—სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება (დილას და საღამოს, 60-ე, 61-ე აბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უეცარი სიმდიდრე (51-ე აბ. 2 ს., მე-19 აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — საგანგებო დავალება (11, 3 ს.).

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 5 იანვარი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით თავდაცვით ბრძოლებს ეწევიან.

დასავლეთის ფრონტზე ჩანდანის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ ტანკებისა და არტილერიის დახმარებით გააფთრებული იერიშები მოიტანა მთელ რიგ მნიშვნელოვან მაღლობებზე, რომლებიც სახალხო არმიის ნაწილებს უკავიათ. მაგრამ, წააწყდა რა სახალხო ჯარების ძლიერ წინააღმდეგობას, მოწინააღმდეგემ 800-ზე მეტი კაცი დაკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით და უკან დაიხია.

დასავლეთ სანაპიროზე სახალხო არმიის ნაწილებმა მოიპოვეს დიდი საბრძოლო წარმატებანი ენპოდოს და სუნიდოს კუნძულების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. წინასწარი ცნობებით, მოკლული, დაჭრილი და ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 100-ზე მეტი შაშხანა, 10 ტყვიამფრქვევი, 5 ქვემეხი, 43 გემი, 20-ზე მეტი ყუთი ვაზნებიანად და სხვა საჭურველი, განთავისუფლებულია 15 ათასზე მეტი მცხოვრები, რომლებიც ლისინმანელ ავაზაკთა რეპრესიებით იტანჯებოდნენ. ჩაძირულია მოწინააღმდეგის 3 ხომალდი, როცა იგი ცდილობდა გაეყვანა თავისი განადგურებული ჯარის ნაშთები.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 4 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქების მუნჩხონის, ანბენის, სარივონისა და სონიმის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვაში.

## სინხუას სააგენტო კორეაში დაზავებაზე მოლაპარაკების შესახებ

**პეკინი**, 5 იანვარი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის მიერ კესონიდან 4 იანვარს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტის დღევანდელ სხდომაზე ჩვენმა დელეგატმა მტკიცედ უარყო გაცვეთილი არგუმენტი მეორე მხარისა, რომელიც დაჟინებით მოითხოვს კორეის საშინაო საქმეებში ჩარევას „ჯარების უშიშროების" უზრუნველყოფის საბაბით. როგორც ჩვენმა დელეგატმა განაცხადა, დაზავების სიმტკიცის უზრუნველსაყოფად ჩვენმა მხარემ წინადადება შეიტანა, რომ ორივე მხარემ ვალდებულება იკისროს დაზავების დროს კორეაში არ შემოიყვანოს არავითარი სამხედრო პერსონალი, არ შემოიტანოს საბრძოლო თვითმფრინავები, ტანკები და ჯავშნიანი მანქანები, იარაღი და სამხედრო მასალა. მაგრამ მეორე მხარემ მოითხოვა უფლება დაზავების დროს კორეაში განუსაზღვრელი მასშტაბით შემოიყვანოს სამხედრო პერსონალი და შემოიტანოს სამხედრო საჭურველი და ამავე დროს დაჟინებით მოითხოვა კორეის ტერიტორიაზე ნაგებობათა მშენებლობის შეზღუდვა. მაგრამ კორეაში რაიმე ნაგებობათა მშენებლობის საკითხი მთლიანად საშინაო საქმეა და უწინარეს ყოვლისა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქნას, რომ იგი განიხილონ სამხედრო დაზავების შესახებ მოლაპარაკების კონფერენციის მაგიდასთან. მეორე მხარე ცდილობს „უშიშროების" უზრუნველყოფის საბაბით სამხედრო ბაზები შექმნას მსოფლიოს ყველა ნაწილში, პირდაპირ ჩაერიოს სხვადასხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში და დაარღვიოს მათი სუვერენიტეტი. მაგრამ ჩვენ ვერ მოვითმენთ ვერავითარ ჩარევას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, მისი სუვერენიტეტის თუნდაც ოდნავ დარღვევას მეორე მხარის მიერ.

დღის წესრიგის მე-4 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტის სხდომაზე ჩვენმა დელეგატმა კვლავ მტკიცედ უარყო მეორე მხარის 2 იანვრის აბსურდული წინადადება. მან აღნიშნა, რომ, საღი აზრისა და ჩვეულების საწინააღმდეგოდ, მეორე მხარე ამ წინადადებაში ორ ცალკე საკითხად ყოფს სამხედრო ტყვეების განთავისუფლებისა და რეპატრიაციის საკითხს. მართალია, იმის განცხადება, რომ განთავისუფლებას თან არ უნდა მოჰყვეს რეპატრიაცია, უდრის ყველა სამხედრო ტყვის განთავისუფლებაზე უარის თქმას. ამიტომ, მიაჩნია რა, რომ განთავისუფლება და რეპატრიაცია უნდა განხორციელდეს ერთში ერთის გაცვლის საფუძველზე, მეორე მხარე, როგორც სრულიად ცხადია, აპირებს დააკავოს ტყვედ წაყვანილი 160 ათასზე მეტი ჩვენი სამხედრო მოსამსახურე.

უფრო მეტიც, მეორე მხარე ისეთ სისასტიკესა და უტიფრობას იჩენს, რომ წინადადებას იძლევა სამოქალაქო პირები გაიცვალოს სამხედრო ტყვეებზე ერთში ერთის საფუძველზე და აშკარად მძევლების სახით აკავებს ჩვენს ტყვედ წაყვანილ სამხედრო მოსამსახურეებს. განა ეს არ აღემატება ადამიანის ყოველგვარ მოთმინებას? მეორე მხარის აბსურდული წინადადება, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა უნდა შეამოწმოს, უნდათ თუ არა სამხედრო ტყვეებსა და სამოქალაქო პირებს რეპატრიირებულ იქნან საკუთარი სურვილით, იმ ფაქტის შემდგომი დამამტკიცებელი საბუთია, რომ მეორე მხარე ცდილობს დააკავოს სამხედრო ტყვეები, ისე როგორც სამოქალაქო პირები, და სრულიადაც არ აპირებს მოაწესრიგოს დღის წესრიგის მე-4 პუნქტი. ჟენევის კონვენციაც კი სამხედრო ტყვეთა შესახებ, რომელიც მეორე მხარემ არაერთგზის დაიმოწმა, სპეციალურად განაპირობებს, რომ სამხედრო ტყვეები განთავისუფლებულ და რეპატრიირებულ უნდა იქნან სამხედრო მოქმედების შეწყვეტისთანავე. მაგრამ მეორე მხარე არა მარტო უტიფრად ამბობს უარს ამ გონივრული პრინციპის მიღებაზე, არამედ ისეთი წინადადებაც კი შემოაქვს, რომელიც პირდაპირ არღვევს მას.

ჩვენმა დელეგატმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მე-4 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტი უკვე 25 დღეა მუშაობს და შემდგომი გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვას უარი თავის წინადადებაზე, რომელიც სრულიად უგუნურია და რომლის დასაბუთება თვითონაც კი არ შეუძლია, მან მალე უნდა მიიღოს გონივრული პრინციპი, რომლის მიხედვითაც ორივე მხარის განკარგულებაში არსებული ყველა სამხედრო ტყვე მალე უნდა განთავისუფლდეს და რეპატრიირებულ იქნას, და დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას ამ პრინციპის განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებათა განხილვა.

# საბჭოთა დელეგაცია სამხრეთ იტალიაში

**რომი**, 5 იანვარი. (საქდესი). საბჭოთა დელეგაცია, რომელმაც იტალიაში ჩაიტანა საბჭოთა ხალხის ძღვენი წყალდიდობით დაზარალებული იტალიელი მოსახლეობისათვის, გუშინ ქალაქ რეჯო-დი-კალაბრიაში ჩავიდა. ქალაქის მცხოვრებლებმა აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს დელეგაციის წევრებს, რომელთაც ახლდა საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის" გენერალური მდივანი ბერტი. ასობით მშრომელმა მიაცილა საბჭოთა ხალხის წარგზავნილები ვაგზლიდან შრომის პალატის შენობაში, სადაც გაიმართა მიტინგი.

რეჯო-დი-კალაბრიის მშრომელთა სახელით მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა შრომის პალატის მდივანმა ფრაგომენიმ, ხოლო საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის" სახელით—პროფესორმა ბერტიმ. „ეს და ათობით სხვა მანიფესტაცია, რომლებითაც იტალიელები მიესალმებოდნენ საბჭოთა ამხანაგებს, — თქვა ბერტიმ,— იმას მოწმობს, რომ იმათ ვინც საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილს ქადაგებს, არ იციან და არ ესმით იტალიელი ხალხის არც გრძნობები, არც აზრები, არც იტალიის ინტერესები".

საბჭოთა დელეგატმა ტიმოფეევმა ტაშის გრიალში ილაპარაკა საბჭოთა ხალხის წარმატებებზე კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. შეკრებილთ მიესალმნენ აგრეთვე დელეგატები ლებედევა და ბერეზინი.

იმავე საღამოს დელეგატები დაესწრნენ დარბაზობას, რომელიც საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის" ადგილობრივმა განყოფილებამ მოაწყო.

# დააპატიმრეს ტრანსიორდანიის კომპარტიის ლიდერი

**პრაღა**, 5 იანვარი. (საქდესი). ტელეპრესის სააგენტო იმოწმებს ისრაელის გაზეთ „კოლ ჰაამს" და იუწყება, რომ დააპატიმრეს ტრანსიორდანიის კომუნისტური პარტიის ლიდერი ფუად ნასარი.

# სასამართლო

## მექრთამეებს — ღირსეული სასჯელი

—ამ საქმეში ხელი გამიმართე და არ გაწყენინებ,—დაბეჯითებით სთხოვა რკინიგზის ნავთლუღის სალიანდაგო დისტანციის უფროსს ნიკოლოზ რაჟდენის-ძე ოყროშიძეს ვინმე პეტროსიანმა. ბოროტმოქმედებმა საერთო ენა მალე გამონახეს. ოყროშიძემ დაწერა ცნობა, რომ პეტროსიანი კარიერზე მუშაობს. ამ ცნობით პეტროსიანმა პასპორტი მიიღო.

საგამოძიებლო ორგანოებმა ბოროტმოქმედთა კვალს მიაგნეს. გამოძიებით დადასტურდა, რომ ოყროშიძემ ყალბი ცნობა მისცა პეტროსიანს, რომ ამ ყალბი ცნობისათვის პეტროსიანისაგან ქრთამად 10.000 მანეთი მიიღო.

ბოროტმოქმედთა საქმე ამას წინათ გაარჩია ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის სასამართლომ ამხ. ბ. ლაერინსკის თავმჯდომარეობით. სასამართლო პროცესზე ოყროშიძეს ქრთამის აღების მრავალი სხვა ფაქტიც დაუმტკიცდა, რის გამო მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით, ხოლო ქრთამის მიმცემს პეტროსიანს — 3 წლით.

# „თბილისელი ქალიშვილი" სტალინირის თეატრში

**სტალინირი**. (საქ. კორ.). კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა კოლექტივმა ამ დღეებში მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ი. ჰაჭანიძის პიესა „თბილისელი ქალიშვილი". მთავარი როლები შეასრულეს მსახიობებმა ი. შერაზადიშვილმა, ვ. დარბუაშვილმა, გ. ქოქოევამ, რ. პლიევამ, ნ. ნინონმა, ი. ტყემალაძემ, ც. მჭედლიშვილმა და ო. კუპრაშვილმა.

პიესა დადგა რეჟისორმა გ. პატარიძემ.

# კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

8 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შედგება ამხ. დ. კალანდაძის ლექცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად თემაზე: „მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი ნიშნები. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის მნიშვნელობა კომუნისტური პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობისათვის".

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი**—მოწინავე—სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის. სსრ კავშირის დამზადებათა მინისტრის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

წარმატებით შევასრულოთ დამამთავრებელი სამუშაოები. კოლმეურნეები სახალხო მშენებლობაზე. გეგმა სრულდება ახალი წლის პირველი დღეებიდანვე.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

**მეორე გვერდი** — პარტიული ცხოვრება — გ. გიორგობიანი — უბნის პარტიული ორგანიზაცია. კ. გუდაძე—ქარხნის დირექტორის მითითების მიხედვით. ს. ფაცაცია—დადგენილებები არ სრულდება.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

კ. გორელი — დიდმელ მექანიზატორებთან. პ. გელაშვილი — გასული წლის შეცდომები მეორდება. ა. ჩიტაია—დეპუტატების დახმარებით. ვ. ქანთარია — მევენახეობის აგროტექნიკის გადაუდებელი ამოცანები.

**მესამე გვერდი** — ა. ჯანაშვილი — სამინისტრო და ჩამორჩენილი საწარმოები.

საერთო სათაურით „დიად მშენებლობებზე" წერილები: ი. ლადონიცკი—საუკეთესო მემანქანე. სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხებისათვის. ახალი საპატიო დავალება.

შ. აფხაიძე—ესტრადის ზოგიერთი საკითხი.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
**ი. ნატროშვილი**

**საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია** 1952 წლის 10 იანვრიდან აცხადებს კონკურსს ქართული ესტრადის ვაკანტური ადგილების შესავსებად:

მხატვრული კითხვა—5 ადგილი. კონფერანსის, ფელეტონების, კუპლეტების შემსრულებლებზე—5 ადგილი, საბჭოთა სიმღერებისა და ლირიკული სიმღერების ვოკალისტ-შემსრულებლებზე — 5 ადგილი, ვოკალისტთა კვარტეტზე, ტრიოსა და დუეტზე—2 ადგილი, ხალხური სიმღერების შემსრულებლებზე—2 ადგილი, ერთმოქმედებიანი პიესების, სკეტჩებისა და მინიატურების შემსრულებლებზე—4 ადგილი, ინსტრუმენტის დამკვრელთა ორიგინალური ჟანრის შემსრულებლებზე — 2 ადგილი, ორიგინალური ჟანრის შემსრულებლებზე (აკრობატიკა, მანიპულაცია, მნემოტექნიკა, ჟონგლიორი და სხვა)—3 ადგილი, ქორეოგრაფიულ ჯგუფებზე — 2 ადგილი.

განცხადების მიღება, ანკეტების შევსება, ახსნა-განმარტებების მიცემა წარმოებს საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო განყოფილებაში ამხ. მარიანოვსკთან.

# დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის**, **„ოქტომბერი"**, **„ისანი"**, **„კოლხიდა"** — სახიფათო რეისი; **„ამირანი"**—ოცნება გზაში; **„თბილისი"**—მაშენკა; **„სპარტაკი"**, **„კომკავშირელი"** — უკანასკნელი ბანაკი; **26 კომისრის სახელობის** — სკანდალი კლოშმერლში; **„დიდუბე"** — ვეფხვი აბარი; **„კოლმეურნე"** — დავით გურამიშვილი.

მოქალაქე **ელენე გრიგოლის ასულმა კალეჩსკაიამ**, მცხოვრებმა ნორიოს შესახვევი № 4, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ედუარდ მიხეილის-ძე კალეჩსკისთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

მოქალაქე **მოსე შმულევის-ძე რაზნიკოვსკიმ**, მცხოვრებმა ქ. თბილისში პლეხანოვის პროსპ. № 123, აღძრა საქმე ქ. კლინცში, ბრიანსკის ოლქი, კარლ მარქსის ქ. № 16, მცხოვრებ მოქალაქე **ანა აბრამის ასულ რაზნიკოვსკაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

დედა პარასკევა, მეუღლე ნინული, შვილები გურამ, ნოდარ, გივი, ზამირა თოფურიძეები, დები გოგუცა, თათუშა, ფოთოლი შვილებით, ძმა საშა მეუღლით ირინეთი, სიძე მიშა ხურცილავა იუწყებიან **ვასილ ანთიმოზის-ძე თოფურიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-I, ზუგდიდში. გამოსვენება ფრუნზეს, 5.

რძალი ნინო, ძმისწულები ეკატერინე, ეთერ რუხაძეები იუწყებიან **ხამხონ დიმიტრის-ძე რუხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-I, ბათუმში, გამოსვენება აჭარის, 42.

მეუღლე ლევარსი, შვილები ილარიონ, მაქსიმე, ერმილე, ანა, ისაკი, გრიშა, პროკოფი, რძლები ელენე, ქსენია, ოლია, ჩიტო, ნინო, ქენია, სიძე მ. მამაკაიშვილი შვილებით იუწყებიან **ელენე ესეს ასულ გვარჯალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-I შემოქმედში (მახარაძის რ.).

ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მევენახეობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები იუწყებიან **რემკო ლავრენტის-ძე ბუბუტეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-I, დაბა ბოლნისში.

შვილები აკაკი, ანიკო, სონია, ქეთო, რძალი მარო, სიძეები აკაკი და გიორგი შვილებით იუწყებიან **კატო ივანეს ასულ აბზიანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-I, პატარა ჯიხაიშში (წულუკიძის რაიონი).

შვილები ალექსანდრა, ზურაბ, შალვა, და ბაბილინე, ძმები კონსტანტინე, ვასილ, რძლები ვერა, მარიამ, შურა შვილებით იუწყებიან **მინა იოსების-ძე თაბაგარის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-I ქუთაისში, გამოსვენება ძერჟინსკის, 9.

მშობლები მარგალიტა, ვასილ, მეუღლე სანდრო, შვილი დოდო, ძმა გიორგი, რძალი ვენერა, ძმისწული მარიკო, დედამთილი ვარო, მამამთილი კოტე იუწყებიან **ნინო ვასილის ასულ ანდრიაზაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-I ანაგაში (სიღნაღის რ.).

ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექცია, პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები იუწყებიან **ვასილ ალმასხანის-ძე ელიაშვილის** გარდაცვალებას.

მანიჟა შვილებით, ძმები სევერიანე, ვანო, დები პოლი, პასიკო ოჯახებით იუწყებიან, რომ 8-I, 12 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ნინო რომანოზის ასულ ნასარიძე-სხირტლაძის და ვიქტორ რომანოზის-ძე ნასარიძის** პანაშვიდი.

შვილები ილია, ლენა, ქეთევან, ირაკლი, რძალი ნორა, სიძეები ვილია ლელინი, როინ შალიკაშვილი შვილებით იუწყებიან **ელისაბედ თედორეს ასულ არაჩემიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-I, 4 ს. ლვოვის, 42 (საბურთალო).

სასწრაფო დახმარების სადგურის თანამშრომლები იუწყებიან **ივანე ლევანის-ძე ხელაშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-54, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00107